განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებები (განსახილველი ვერსია)

საქართველოს განათლებისა და
მეცნიერების სამინისტრო

სარჩევი - ჩასასწორებელია

1. შ ე ს ა ვ ა ლ ი 3
2. რ ე ზ ი უ მ ე 4
3. განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევები 5
4. განათლების პოლიტიკის ხედვა და მისია 9
5. სტრატეგიული მიმართულებები 10
6. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით 13

   სკოლამდელი განათლება 13

   ზოგადი განათლება 1

   პროფესიული განათლება 9

   უმაღლესი განათლება 15

   მეცნიერება 21

7. შემდეგი ეტაპები ძირითადი მიმართულებების დოკუმენტის განვითარებისთვის ... 25
8. გამოყენებული კვლევები და დოკუმენტები 26

1. შესავალი

წინამდებარე დოკუმენტი ეხება საქართველოში განათლებისა და მეცნიერების განვითარების მთავარ მიმართულებებსა და პრიორიტეტებს. მასში ასახულია განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული გამოწვევები და მიმდინარე გლობალური ტენდენციების შესაბამისი საკვანძო ცვლილებები. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებები მიზნად ისახავს განათლებისა და მეცნიერების ხარისხის, რელევანტურობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისა და სოციალური სტაბილურობის ხელშეწყობისათვის.

საქართველოს ეკონომიკური და სოციალური პროგრესის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რესურსი ადამიანური კაპიტალია. შესაბამისად, განათლება და მეცნიერება ქვეყნის განვითარებისთვის გამორჩეულად პრიორიტეტული, გრძელვადიან შედეგზე გათვლილი სფეროებია. საქართველოს ევროპული ინტეგრაციის პროცესის წარმატება მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული განათლების სფეროს ეფექტურობაზე. სწორედ ამ სისტემამ უნდა უზრუნველყოს, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობისა და დემოკრატიული ღირებულებების მქონე მოქალაქეთა აღზრდა, მეორე მხრივ, მოამზადოს შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრები ეკონომიკის დივერსიფიკაციისა და საზოგადოების განათლების უზრუნველყოფისათვის რეალური ნაბიჯების გადასადგმელად.

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებების დოკუმენტი ემყარება დოკუმენტით – „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“ – გათვალისწინებულ პრიორიტეტებსა და საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში ნაკისრ ვალდებულებებს.

მთავრობა ერთ-ერთ უმთავრეს მიზნად ისახავს დასაქმებას, სამუშაო ადგილების შექმნასა და ინოვაციებზე დაფუძნებული ეკონომიკის ფორმირების ხელშეწყობას. ამ მიმართულებით შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კადრების მომზადება და განათლების სისტემაში კვლევითი პოტენციალის გაძლიერება აღიარებულია, როგორც ერთ-ერთი მთავარი ამოცანა. დოკუმენტში „საქართველოს სოციალური და ეკონომიკური განვითარების სტრატეგია – საქართველო 2020“ გამოყოფილია განათლების სფეროს კონკრეტული პრიორიტეტები. კერძოდ, განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდა; მასწავლებელთა მოტივაციისა და კვალიფიკაციის ამაღლება; სკოლამდელ და პროფესიულ განათლებაში ჩართულობის გაზრდა; წიგნიერების ამაღლება; ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება; უმაღლესი განათლების ინტერნაციონალიზაცია; სამეცნიერო პოტენციალის გამოყენება და განვითარება.

წარმოდგენილი დოკუმენტი სრულად ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს განათლების, კვლევისა და ტექნოლოგიების განვითარების სფეროში. იგი ასევე შეესაბამება ბოლონიის პროცესის მოთხოვნებს, ევროპარლამენტისა და ევროპის საბჭოს რეკომენდაციებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მიმართულებით, მსოფლიო დეკლარაციის „განათლება ყველასათვის“ ფარგლებში შეთანხმებულ მიზნებს, რომელთა შესრულების ვალდებულება საქართველომ იკისრა.

დოკუმენტის შექმნის მიზანია სისტემის განვითარების ათწლიანი სტრატეგიული გეგმის ჩამოყალიბება.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად საჭიროა საზოგადოების ფართო ჩართულობა, აკადემიურ და პედაგოგიურ წრეებთან, სამთავრობო სტრუქტურებთან, დონორ ორგანიზაციებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან განხილვა, კონსულტაციები და შეთანხმება.

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების ძირითადი მიმართულებების ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო სამინისტროს მიერ ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ჩატარებული ანალიტიკური სამუშაოები, კვლევების შედეგების ანალიზი, განათლების სპეციალისტებთან გამართული შეხვედრები და კონსულტაციები. წინამდებარე სახით დოკუმენტი შემუშავდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. სამუშაო პროცესში მონაწილეობდნენ დარგის ადგილობრივი და საერთაშორისო ექსპერტები.

2. რეზიუმე

განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების ეფექტის გასაძლიერებლად 2014 წელი გამოცდილების კრიტიკული ანალიზისა და მასზე დაფუძნებული გრძელვადიანი პოლიტიკის შემუშავების წლად გამოცხადდა.

ამ კონტექსტით პირველად გაანალიზდა კომპლექსურად განათლების სფეროში განხორციელებული კვლევების შედეგები და ერთიანი სტრატეგიული ხედვა შემუშავდა განათლების პოლიტიკის ფორმირებასა და განხორციელებაში ჩართული ყველა მხარის მონაწილეობით.

განათლების სხვადასხვა საფეხურზე და მეცნიერების სფეროში არსებული გამოწვევები ხშირად ურთიერთგანპირობებულია და/ან მსგავსი ხარვეზებით ხასიათდება. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების განვითარების პოლიტიკა უნდა ეფუძნებოდეს ერთიან სისტემურ ხედვას. ეს გულისხმობს განათლების სხვადასხვა საფეხურზე და მეცნიერების სფეროში განვითარებაზე ორიენტირებული ძალისხმევის სინერგიას.

სტრატეგიის განხორციელების პროცესში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტებს წარმოადგენს:

- მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარება;
- განათლების სისტემაში თანასწორობის, ხელმისაწვდომობისა და ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფა;
- განათლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის სისტემების სრულყოფით;
- საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტონომიურობისა და ინსტიტუციური მუდმივი განვითარების უზრუნველყოფა;
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემაში ყველა დონეზე ჩართული ადამიანური რესურსების განვითარება;
- საზოგადოების ჩართულობისა და სოციალური პარტნიორობის გაძლიერება;
- განათლებისა და მეცნიერების მართვის სისტემის სრულყოფა;
- განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაფინანსების გაზრდა და დაფინანსების მოდელების ოპტიმიზაცია.

რეფორმების განხორციელების შედეგად დაგროვებული გამოცდილებისა და არსებული გამოწვევების გააზრების საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა განათლების სისტემის განვითარების სტრატეგიული ჩარჩო, რომლის მიხედვითაც სტრატეგიული მიზნებია: **სკოლამდელი განათლებისთვის** – სასკოლო მზაობის გაზრდის ხელშეწყობა, **ზოგადი განათლებისთვის** – ზოგადი

განათლების ეროვნული მიზნების მიღწევის უზრუნველყოფა განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის, სწავლა-სწავლებისა და მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების გზით, **პროფესიული განათლებისთვის** – პროფესიული განათლების როლის გაძლიერება ადამიანური კაპიტალის განვითარების პროცესში და სისტემაში ჩართულობის გაზრდა მისი მიმზიდველობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით, **უმაღლესი განათლებისთვის** – უმაღლესი განათლების როლის გაძლიერება ახალი ცოდნის შექმნაში, დაგროვებასა და გადაცემაში და სისტემის ხელმისაწვდომობის გაზრდა, **მეცნიერებისთვის** – კვლევითი პოტენციალის გაძლიერება ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის.

შენიშვნა: მოცემული სტრატეგიული მიზნები და შესაბამისი ამოცანები დაზუსტდება საზოგადოების ფართო წრეებთან განხილვის შედეგად. განხილვის ეტაპის დასრულების შემდეგ სტრატეგიის შესაბამისად შემუშავდება სამოქმედო გეგმა.

3. განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული ძირითადი გამოწვევები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სფეროში არსებული პოსტსაბჭოური სისტემის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნის მიზნით ბოლო ათწლეულის მანძილზე არაერთი რეფორმა განხორციელდა. პირველი ინტერვენციების გარკვეული დადებითი შედეგების მიუხედავად შემდგომი არათანამიმდევრული პოლიტიკისა და სფეროს არასათანადო დაფინანსების პირობებში სახელმწიფომ ვერ უზრუნველყო დაწყებული ცვლილებების წარმატებით დასრულება და სისტემის მუდმივი განვითარება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში განათლებისა და მეცნიერების სფეროს დაფინანსება მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება როგორც დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის, ასე ევროკავშირის ახალი წევრი ქვეყნების შესაბამის მაჩვენებლებს. განათლებისა და მეცნიერების დაფინანსების წილი 2012 წლის მონაცემებით მთლიანი შიდა პროდუქტის 2.8%-ს შეადგენდა, რაც დაბალია მსგავსი ეკონომიკური განვითარების ქვეყნებთან შედარებით.

სქემა 1. განათლების დანახარჯები მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით



|

წყარო: მსოფლიო ბანკი: Ed Stats, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

უფრო მკაფიო სურათს მივიღებთ, თუ გავითვალისწინებთ ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის წილს მშპ-სთან მიმართებით: ბოლო ათწლეულის განმავლობაში საქართველოში მთლიანი შიდა პროდუქტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნება. ქვეყანაში ეკონომიკის ზრდასთან ერთად იზრდება სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებიც. ერთ სულზე მშპ 2000 წლიდან 2011 წლამდე 690 აშშ დოლარიდან 3215 აშშ დოლარამდე გაიზარდა, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები კი - 12%-დან 32%-მდე. 2005-2009 წლებში საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი მშპ-სთან მიმართებით აღემატებოდა ეკონომიკური განვითარებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის ქვეყნების საშუალო, ასევე ყაზახეთის (17% – 2009 წ.), აზერბაიჯანისა (15% – 2008 წ.) და სომხეთის (24% – 2009 წ.) იმავე მაჩვენებლებს, მაგრამ ამავე დროს სახელმწიფო ბიუჯეტში განათლების წილი 2000 წლიდან 2011 წლამდე პერიოდში 11.7 %-იდან 8.3%-ამდე დაეცა.

ქვეყნები, რომელთა სახელმწიფო დანახარჯები საქართველოსას უტოლდება, საშუალოდ, დაახლოებით ორჯერ მეტს ხარჯავენ განათლებაზე. მაგალითისათვის, ლატვიასა და ესტონეთში ასევე საშუალოზე მაღალია სახელმწიფო დანახარჯები (29% – ლატვიაში, 31% – ესტონეთში და 29% – საქართველოში), მაგრამ საქართველოში განათლებაზე დანახარჯების წილი მშპ-სთან მიმართებით 2.9%-ია, ლატვიასა და ესტონეთში კი – 5.7%.

სქემა 2: კავშირი სახელმწიფო ბიუჯეტსა და განათლებაზე დანახარჯებს შორის მშპ-სთან მიმართებით, 2008 წელი.



წყარო: მსოფლიო ბანკის მონაცემთა ბაზა. შენიშვნა: ანალიზში გამოყენებული 76 ქვეყნის მონაცემები აღებულია 2008 წლიდან, ხოლო ახალი ზელანდიის მონაცემები 2007 წლიდან.

გამოყენებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ტვირთი დიდწილად შინამეურნეობებს აწვება, რაც აღრმავებს სოციალურ უთანასწორობას და ქმნის ბარიერებს განათლებაზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით.

განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის ზრდა ბოლო 2 წლის მანძილზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს პრიორიტეტს წარმოადგენს. ხელმისაწვდომობის პრობლემის მოგვარება 2012 წელს სოციალურად ორიენტირებული პროგრამების შემუშავების გზით დაიწყო, რამაც მნიშვნელოვნად შეამსუბუქა შინამეურნეობის დანახარჯები განათლებაზე (მოსწავლეთა ტრანსპორტითა და უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის პროგრამები, სახელმწიფო პროფესიული სასწავლებლების სტუდენტების სრული დაფინანსება და უმაღლეს განათლებაში სოციალური გრანტების ზრდა და სხვა).

მიუხედავად მნიშვნელოვანი ცვლილებებისა, ხელმისაწვდომობა კვლავ რჩება განათლების პოლიტიკის მნიშვნელოვან გამოწვევად და ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გაგრძელდეს. ამასთანავე გრძელვადიან პერსპექტივაში გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება განათლების ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც დღეისათვის პრიორიტეტად რჩება განათლების ყველა საფეხურზე:

- განათლების არადამაკმაყოფილებელი ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი დაბალი სასკოლო მზაობაა. ბოლო პერიოდში სკოლამდელ განათლებაში გაზრდილი ჩართულობის მიუხედავად იგი მნიშვნელოვნად განსხვავდება ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების, ეთნიკური წარმომავლობისა და საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. აღსანიშნავია ისიც, რომ სასკოლო მზაობა დაბალია სკოლამდელ განათლებაში ჩართულ ბავშვებშიც. 2011 წელს ჩატარებული კვლევის (წყარო პირველკლასელთა სასკოლო მზაობის შეფასება საქართველოს მასშტაბით, 2011 წლის ანგარიში. კვლევა 2010 წელს განხორციელდა ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრის მიერ გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით) მიხედვით პირველკლასელი მოსწავლეების უდიდეს ნაწილს, რომლებიც სკოლამდელ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დადიოდნენ, არ აღმოაჩნდა სასკოლო განათლებაში წარმატებით ჩართვისთვის საჭირო კოგნიტური და არაკოგნიტური (ემოციური, სოციალური, ფიზიკური) უნარები. სკოლამდელი განათლების ასეთი შედეგები განათლების ამ საფეხურზე სწავლა-სწავლების ხარისხის გაზრდის პრიორიტეტულ მიმართულებად ჩამოყალიბებასა და ცვლილებების გატარების აუცილებლობაზე მიგვითითებს.

- ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA 2009) მიხედვით საქართველოში კვლევაში მონაწილე 15 წლის ასაკის მოსწავლეთა მცირე პროცენტულმა ნაწილმა (საგნიდან გამომდინარე 30%-იდან 40%-ამდე) გამოავლინა ცოდნის მაღალი დონე ფუნქციონალურ წიგნიერებაში (გულისხმობს კითხვის, წაკითხულის გააზრების, მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარს), ასევე – მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში. აღნიშნული შედეგები ძალიან მნიშვნელოვანი გამაფრთხილებელი ნიშანია განათლების სისტემისთვის მთლიანობაში, რადგან ეს ნიშნავს, რომ კვლევაში მონაწილე სკოლების 15 წლის ასაკის მოსწავლეების დაახლოებით 60%-მა აჩვენა სტანდარტულ საერთაშორისო სკალირებულ საშუალო მაჩვენებელზე დაბალი მიღწევის დონე.

სქემა 3. მოსწავლეთა შეფასების საერთაშორისო პროგრამის (PISA 2009) წიგნიერების ქულები და მშპ ერთ სულ მოსწავლეზე



წყარო:PISA 2009 (OECD); World Development Indicators, World Bank

- პროფესიული და უმაღლესი განათლების პროგრამები სრულად ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ეს გარემოება მნიშვნელოვანწილად იმით არის გამოწვეული, რომ ქვეყანაში არ ხორციელდება სისტემური და სისტემატური კვლევები შრომის ბაზრის მოთხოვნების განსაზღვრის მიზნით. აღნიშნული პრობლემის საპასუხოდ 2013 წლიდან აქტიურად მუშაობს საქართველო შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ჩამოყალიბებასა და კვლევების შედეგებს უდიდესი გავლენა ექნება განათლების სფეროზე.
- მნიშვნელოვანი პრობლემაა ისიც, რომ არ არსებობს კვლევის პრაქტიკა განათლების სფეროში განხორციელებული ცვლილებების ეფექტიანობის შესაფასებლად. არ ხდება დაკვირვება პროფესიული და უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა სწავლის შემდგომ საქმიანობაზე, ვერ ხერხდება კურსდამთავრებულთა დასაქმების ზუსტი მაჩვენებლის დადგენა (ცალკეული ორგანიზაციების მიერ განხორციელებული კვლევები ურთიერთგამომრიცხავ მონაცემებს შეიცავს), რადგან არ არსებობს ინფორმაციის მიღებისა და დამუშავების ერთიანი სისტემა. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო 2013 წლიდან ამუშავებს შესაბამის მეთოდოლოგიას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის დადგენის მიზნით, რაც უნდა გახდეს პროფესიული განათლების ერთიანი საინფორმაციო სისტემის

ნაწილი. მეთოდოლოგიის პილოტირება დაწყებულია და 2014 წლის ბოლოს უკვე გამოიკვეთება პირველი შედეგები.

- საქართველოს სამეცნიერო პროდუქცია ნაკლებადაა წარმოდგენილი რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების საერთაშორისო ნუსხებში საშუალო ევროპულ და ზოგიერთი პოსტსაბჭოთა ქვეყანის მაჩვენებლებთან მიმართებით: საქართველოში 1000 მოსახლეზე სამეცნიერო პროდუქციის მაჩვენებელი 0.5-ს არ აღემატება მაშინ, როდესაც ესტონეთში ეს მაჩვენებელი 3-ის ტოლია. ერთ მოსახლეზე პატენტების რაოდენობა 2-ჯერ უფრო დაბალია სომხეთის მაჩვენებელთან მიმართებით (MoES, 2014)

სქემა 4, სამეცნიერო პუბლიკაციების რაოდენობა 1000 მოსახლეზე საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების ბაზებში ქვეყნების მიხედვით



წყარო: ISI Web of Science (Core Collection)

4. განათლების პოლიტიკის განვითარების პროგრამა და მისია

რეფორმების განხორციელების შედეგად დაგროვილი გამოცდილებისა და არსებული გამოწვევების გააზრების საფუძველზე განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეიმუშავა განვითარების გრძელვადიანი პროგრამა და ჩამოაყალიბა ძირითადი სტრატეგიები.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს **პროგრამა** სისტემის ისე განვითარებაა, რომ საქართველოს ყველა მოქალაქეს ჰქონდეს მთელი სიცოცხლის მანძილზე ხარისხიანი განათლების მიღებისა და თვითრეალიზების თანაბარი შესაძლებლობა; განათლების ეროვნული სისტემის შედეგები გაუმჯობესდეს და დაუახლოვდეს ევროკავშირის სტანდარტებს.

ამ ხედვის რეალიზებისათვის სამინისტროს **მისიაა,** ერთი მხრივ, თანამედროვე, მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების სისტემის განვითარება, რომელიც უზრუნველყოფს ყველასათვის თანაბარი

ხარისხის განათლების მიწოდებას, საკვანძო კომპეტენციების ეფექტურ გადაცემას და ახალი ცოდნის გენერირებას. მეორე მხრივ, ქვეყნის მომავლისათვის აუცილებელი სამეცნიერო დარგების თანამედროვე სტანდარტების დონეზე განვითარება.

განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარება უნდა დაეფუძნოს ხარისხზე ორიენტირებულ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს **სამ ძირითად პრინციპს**: ავტონომიურობას, ანგარიშვალდებულებას, თანამიმდევრულ და კოორდინირებულ პოლიტიკას განათლების ყველა საფეხურზე და მეცნიერებაში.



5. სტრატეგიული მიმართულებები

განათლების სხვადასხვა საფეხურსა და მეცნიერების სფეროში არსებული გამოწვევები ხშირად ურთიერთ განპირობებულია და/ან მსგავსი ხარვეზებით ხასიათდება. შესაბამისად, განათლებისა და მეცნიერების განვითარების პოლიტიკა უნდა დაეფუძნოს ერთიან სისტემურ პროგრამას. ეს გულისხმობს განათლების სხვადასხვა საფეხურზე და მეცნიერების სფეროში განვითარებაზე ორიენტირებული ძალისხმევის სინერგიას. ცალკეული ცვლილება აისახება განათლების მთლიან სისტემაზე.

არსებული ვითარების ანალიზის საფუძველზე გამოვლინდა განათლების ყველა საფეხურისა და მეცნიერების სფეროს კრიტიკული საკითხები. დოკუმენტში საფეხურების მიხედვით წარმოდგენილი ცვლილებები ამ კატეგორიების შესაბამისად არის გააზრებული.

- *განათლებისა და მეცნიერების სისტემის დაფინანსების გაზრდა და დაფინანსების მოდელების ოპტიმიზაცია*

განათლებისა და მეცნიერების შემდგომი განვითარება და შედეგების თვისებრივი გაუმჯობესება მნიშვნელოვნად განპირობებული იქნება განათლების ყველა საფეხურზე დაფინანსების ეტაპობრივი ზრდითა და ადეკვატური ინვესტირებით. ერთ მოსწავლეზე/ სტუდენტზე გათვლილი დაფინანსების პარალელურად, უნდა დაინერგოს საგანმანათლებლო დაწესებულებათა შედეგზე დაფუძნებული ინსტიტუციური დაფინანსების მექანიზმები. ეს ხელს შეუწყობს დაწესებულებების გაძლიერებას და მათ მიერ ხარისხის უზრუნველყოფის უფრო ეფექტური პოლიტიკის გატარებას. ასევე, ღონისძიებები უნდა გატარდეს განთლებისა და მეცნიერების დაფინანსების ალტერნატიული წყაროების მოსაზიდად.

- *მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის სისტემის განვითარება*

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ხელშეწყობის პოლიტიკა გულისხმობს ქვეყნის მიერ ოპტიმალური პირობების შექმნას, რათა პიროვნებას ჰქონდეს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის შესაძლებლობა. ამ მიზნით მნიშვნელოვანია განათლების ყველა საფეხურის განვითარება. არსებულ ვითარებაში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ფორმალურ განათლებაში მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის ყველაზე ნაკლებგანვითარებული რგოლების, სკოლამდელი განათლებისა და სადოქტორო საფეხურის განვითარების ხელშეწყობა. ასევე, უნდა აღმოიფხვრას ნაკლოვანებები და გაძლიერდეს სხვადასხვა საგანმანათლებლო საფეხურებს შორის კავშირები, განსაკუთრებით პროფესიულ განათლებასა და უმაღლეს განათლებას შორის. პიროვნებას უნდა ჰქონდეს შესაძლებლობა, რომ პროფესიული განათლების საფეხურიდან სწავლა გააგრძელოს უმაღლესი განათლების საფეხურზე.

მნიშვნელოვანია განათლების ყველა საფეხურზე საკვანძო კომპეტენციების განვითარების ეფექტური მექანიზმების დანერგვა. ეს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მნიშვნელოვანი წინაპირობაა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფცია ასევე გულისხმობს არაფორმალური სწავლების წახალისებას. ამ კუთხით პრიორიტეტია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების ამოქმედება, ზრდასრულთა განათლების ხელშეწყობა და მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონცეფციის რეალიზებაში საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართვა.

- *განათლების სისტემაში თანასწორობის, ხელმისაწვდომობის და ინკლუზიის უზრუნველყოფა*

განათლების ყველა საფეხურზე განსაკუთრებით პრიორიტეტული საკითხი უნდა იყოს განათლების თანაბარი ხარისხი, შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობა.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებაში სოციალურად დაუცველი ახალგაზრდების მეტი ფინანსური მხარდაჭერა.

ზოგად განათლებაში პრიორიტეტულია განათლების მაღალი ხარისხის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ბავშვისთვის განურჩევლად ასაკის, რელიგიური აღმსარებლობის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკური წარმომავლობისა და სოციალური მდგომარეობისა. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სკოლების მეტი ტერიტორიული ხელმისაწვდომობა საქართველოს ყველა რეგიონისათვის, ინკლუზიური განათლების განვითარება და სრულყოფა, სახელმწიფო ენის სწავლება ეთნიკური უმცირესობებისათვის.

პროფესიულ განათლებაში ჩართულობის გაზრდისათვის ასევე პრიორიტეტულია ტერიტორიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა და მრავალფეროვანი საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება მოსახლეობის ყველა ფენის დასაქმების, თვითდასაქმების, პროფესიული და პიროვნული განვითარებისა თუ თვითრეალიზაციის მიზნით.

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით მნიშვნელოვანი იქნება დაფინანსების მოძიების შესაძლებლობების დივერსიფიცირება, მათ შორის სტუდენტური სესხების მექანიზმის სახით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირების ინტეგრაციის მიზნით, აქტიურად უნდა გაგრძელდეს და გაძლიერდეს ინკლუზიური განათლების პოლიტიკა და შესაბამისი პროგრამები განათლების ყველა საფეხურზე.

ასევე უნდა განვითარდეს სახელმწიფო პოლიტიკა ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის მიმართულებით.

- *განათლებისა და მეცნიერების ხარისხის გაუმჯობესება შედეგზე ორიენტირებული ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის სისტემების სრულყოფით*

ხარისხის მართვის სისტემის სრულყოფა ერთნაირად პრიორიტეტულია განათლების ყველა საფეხურზე და მეცნიერების სფეროში. ხარისხის მართვის განახლებული მოდელი ცალსახად უნდა ეფუძნებოდეს მხარდაჭერისა და მუდმივი განვითარების ხელშეწყობის პრინციპებს. განათლების ხარისხი უნდა შეფასდეს სპეციფიკური, გაზომვადი შედეგების/ინდიკატორების მიხედვით. მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს,რომ გამოვლენილი სუსტი მხარეები დაიძლიოს თანმიმდევრულად, ხოლო კარგი შედეგები წახალისდეს გარკვეული სქემის მიხედვით.

ამგვარად აწყობილი სისტემა საშუალებას მოგვცემს, ერთი მხრივ, შევინარჩუნოთ ქვეყნის მასშტაბით განათლების ხარისხის საერთო დონე და უზრუნველვყოთ ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა საქართველოს ყველა მოქალაქისათვის, ხოლო მეორე მხრივ, შევქმნათ ხარისხის განვითარების სტიმული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის. განვითარებაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ხელს შეუწყობს ინსტიტუციების რესურსების მობილიზაციას.

- *საგანმანათლებლო დაწესებულებათა ავტონომიურობისა და მდგრადი ინსტიტუციური განვითარების უზრუნველყოფა*

განათლებისა და მეცნიერების სისტემის მოდერნიზებისათვის ერთ-ერთი პრიორიტეტული საკითხია საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებათა ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება და საფეხურის შესაბამისად მათი ავტონომიურობის განმტკიცება. ამ მიმართულებით პროგრესს გადამწყვეტი როლი ექნება დეცენტრალიზაციის პროცესის მდგრადი განვითარებისათვის. ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარების პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდება, ერთი მხრივ, ხარისხის უზრუნველყოფის სისტემას და, მეორე მხრივ, განათლების დაფინანსების მექანიზმებს.

- *საგანმანათლებლო და სამეცნიერო სისტემის ყველა დონეზე ჩართული ადამიანური რესურსების განვითარება*

განათლების ყველა საფეხურზე ხარისხის უზრუნველყოფისა და შედეგების გაუმჯობესების უმთავრესი წინაპირობაა განათლების ადმინისტრატორების, პედაგოგებისა და აკადემიური პერსონალის უწყვეტი პროფესიული განვითარება. შრომითი მოტივაციისა და პროფესიული ზრდის წახალისებისთვის აქტუალურია საქმიანობის შეფასებისა და კარიერის დაგეგმვის სამართლიანი და ეფექტური სისტემის უზრუნველყოფა. ამ მიზნით, ასევე მნიშვნელოვანი იქნება თავად საგანმანათლებლო დაწესებულებებში ადამიანური რესურსების განვითარება.

კონკრეტული ინიციატივები უნდა განხორციელდეს განათლების სისტემაში ახალი კადრების მოზიდვის მიზნით. ეს მნიშვნელოვანია როგორც განათლების რიგ საფეხურზე არსებული თუ მოსალოდნელი საკადრო დეფიციტის დასაფარად, ასევე შიდა კონკურენციის გაძლიერებისა და სისტემის განახლებისათვის.

პედაგოგთა გადამზადების სისტემის მუდმივი განვითარების მიზნით უნდა გაიზარდოს ამ პროცესში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩართულობა, პარალელურად უნდა განვითარდეს პედაგოგთა პროფესიული ასოციაციები.

- *საზოგადოების ჩართულობისა და სოციალური პარტნიორობის გაძლიერება*

საზოგადოების ჩართულობა და სოციალური პარტნიორობა გამოწვევაა განათლების ყველა საფეხურზე და მეცნიერების ყველა სფეროში. განათლება უნდა გახდეს რეალურად ღია სისტემა, მის განვითარებაზე მეტი პასუხისმგებლობა უნდა გაიზიაროს საზოგადოებამ, დაინტერესებულმა პირებმა. მათ უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, მიიღონ მონაწილეობა განათლების ხარისხის უზრუნველყოფაში. ეს არის სისტემის მუდმივი განვითარების ერთ-ერთი წინაპირობა. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია როგორც განათლების სისტემაში მოქმედი დაწესებულებების გააქტიურება, ასევე საზოგადოებისა და კერძო სექტორის ცნობიერების ზრდა და მათი ჩართულობა. მნიშვნელოვანია კვლევის სფეროში ბიზნესის ჩართულობის გაზრდა.

- *განათლებისა და მეცნიერების სისტემის მონიტორინგის და შეფასების მექანიზმების სრულყოფა*

განათლების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის განვითარება წარმოადგენს მნიშვნელოვან კომპონენტს, რამდენადაც მას დაეფუძნება ეფექტური მენეჯმენტის, გამჭვირვალე მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმების დანერგვა. ამ მიმართლებით პრიორიტეტი მიენიჭება სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების გაძლიერებას და თანამშრომლობას სხვა ადგილობრივი სტრუქტურებთან, რათა უფრო აქტიურად შეძლონ საკონსულტაციო და მხარდაჭერის ფუნქციის შესრულება სკოლამდელი და ზოგადი საფეხურის დაწესებულებებისათვის.

6. სტრატეგიული მიზნები და ამოცანები საფეხურების მიხედვით

სკოლამდელი განათლება

სტრატეგიული მიზანი: ბავშვების სასკოლო მზაობის გაზრდა

არსებული მდგომარეობა

საერთაშორისო კვლევებში ხაზგასმით აღნიშნულია სკოლამდელი განათლების მიმართულებით განხორციელებული ინვესტიციების ეფექტურობა[1]. ამ კვლევებიდან ნათლად ჩანს, რომ უნარ-ჩვევების ფორმირების პროცესის თავისებურებიდან გამომდინარე ადრეულ ინვესტიციას განათლებაში მაღალი შედეგები მოაქვს შემდგომი განვითარებისა და კარიერული წარმატების მხრივ.

მიუხედავად ამისა, მნიშვნელოვან პრობლემად რჩება სკოლამდელი განათლების დაწესებულებების მცირე რაოდენობა და მომსახურების არასათანადო ხარისხი, რაც იწვევს ბავშვების დაბალ სასკოლო მზაობას. პრობლემას ამწვავებს სკოლამდელ დაწესებულებებში განათლების ეფექტური სისტემის არარსებობა. მიუხედავად არაერთი ინტერვენციისა, კვლავ არ არის მკაფიოდ დაბალანსებული პასუხისმგებლობები

[1]ჰეკმანი და მასტეროვი (2007), ჰეკმანი (2006), სუნჰა და ჰეკმანი (2006) და კარნეირო და ჰეკმანი (2003).

ადგილობრივ და ცენტრალურ ხელისუფლებას შორის ხარისხიანი სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისათვის.

სკოლამდელი აღზრდის არსებულ სისტემაში მომსახურების დონე არაერთგვაროვანია და აქცენტი კეთდება აღმზრდელობით და ზრუნვის კომპონენტზე, ხოლო განათლების კომპონენტი ყურადღების მიღმა რჩება. შესაბამისად, სისტემაში არ ინერგება უკვე არსებული სწავლა-სწავლების რესურსები და პროგრამები, რომლებიც ჯერაც სარეკომენდაციო ხასიათს ატარებენ.

მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს კვალიფიციური ადამიანური რესურსების ნაკლებობა, როგორც პედაგოგებსა და აღმზრდელებში, ისე ადმინისტრაციაში. არ არსებობს ადრეული და სკოლამდელი განათლების პედაგოგთა სტანდარტი, რაც ხელს უშლის მათი მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სისტემის გამართვას.

დაბალია სკოლამდელ განათლებაზე ხელმისაწვდომობისა და შესაბამისად, ჩართულობის მაჩვენებელი (განსაკუთრებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი პირებისათვის), რაც განპირობებულია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების არასაკმარისი რაოდენობითა და გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემით.

სისტემა ვერ უზრუნველყოფს ისეთი პროგრამების განხორციელებას, რომლებიც ხელს შეუწყობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვის ეფექტურ ტრანზიციას ზოგადი განათლების სისტემაში.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2014 წლიდან გააქტიურა მუშაობა სკოლამდელი განათლების განვითარების პოლიტიკაზე. კერძოდ: ჩაერთო სკოლამდელი განათლების მარეგულირებელი კანონმდებლობის შემუშავებაში. ასევე ნაბიჯები გადაიდგა სკოლამდელი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავების მიმართულებითაც. დაწყებულია მუშაობა პედაგოგის კვალიფიკაციის განსაზღვრასა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტის შემუშავებაზე.

სტრატეგიული ამოცანები და ძირითადი ინტერვენციები

სკოლამდელ განათლებაში დასახული სტრატეგიული მიზნის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია მიმდინარე სამუშაოების თანამიმდევრული გაგრძელება და ახალი სისტემური ცვლილებების განხორციელება შემდეგი ოთხი ძირითადი ამოცანის ფარგლებში.

- **სკოლამდელი განათლების სისტემის სრულყოფა**

მოკლევადიან პერსპექტივაში უნდა დასრულდეს მუშაობა სკოლამდელი განათლების მარეგულირებელი სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავებაზე. ასევე ამ კონტექსტით მკაფიოდ უნდა განისაზღვროს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროსა და ადგილობრივ თვითმართველობებს შორის უფლება-მოვალეობები და პასუხისმგებლობები. იმავდროულად უნდა შემუშავდეს სკოლამდელი განათლების დაფინანსების ეფექტიანი მოდელი. 2016 წლიდან უნდა დაიწყოს სკოლამდელი განათლების სისტემის თანამიმდევრული და ეტაპობრივი დანერგვის პროცესი.

- **სკოლამდელი განათლების ხარისხის განვითარება**

ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით მიმდინარეობს სკოლამდელი განათლების ეროვნული სასწავლო გეგმის შემუშავება, დამხმარე საგანმანათლებლო რესურსების შექმნა და შედეგზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ამოქმედება. ამ საკითხებზე მუშაობა დასრულდება მოკლევადიან პერიოდში სისტემის მოდელის შემუშავების პარალელურად.

საშუალო და გრძელვადიან პერსპექტივაში ასევე აქტუალურია მშობელთა განათლების საკითხი. მშობლებმა, ერთი მხრივ, უფრო მეტად უნდა გააცნობიერონ სკოლამდელი განათლების მნიშვნელობა ბავშვის ადრეული განვითარებისათვის და, მეორე მხრივ, მათ უნდა ჰქონდეთ მეტი შესაბამისი ცოდნა და უნარები ამ პროცესში აქტიური მონაწილეობისათვის. ამ მიზნით ხელი უნდა შეეწყოს მშობელთა განათლების პროგრამების განვითარებასა და მუნიციპალიტეტების ჩართულობით მათ დანერგვას.

- **სკოლამდელი განათლების პედაგოგთა მომზადება და კვალიფიკაციის ამაღლება**

სკოლამდელი განათლების განვითარებისათვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პედაგოგის კვალიფიკაციის განსაზღვრა და შესაბამისი პროფესიული სტანდარტის შემუშავება. აღნიშნული მიმართულებით მუშაობა უკვე დაწყებულია და იგი დასრულდება 2015 წელს სკოლამდელი განათლების სისტემის მოდელისა და ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებისა და მექანიზმების შემუშავებასთან ერთად.

უმაღლეს და პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში უნდა დაიწყოს პედაგოგთა და აღმზრდელთა მომზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამების დანერგვა პროფესიული სტანდარტის შესაბამისად.

- **ინფრასტრუქტურის გამართვისა და თანაბარი ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა**

სკოლამდელი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის შესაბამისი უწყებების მიერ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ჩართულობით უნდა განხორციელდეს სკოლამდელი განათლების სისტემის ინფრასტრუქტურის შესწავლა სკოლამდელი განათლების დაწესებულებების სტანდარტის შემუშავების მიზნით. მათ შორის უნდა გათვალისწინებულ იქნეს ინკლუზიური საგანმანათლებლო გარემო. სკოლამდელი განათლება თანაბრად ხელმისაწვდომი უნდა იყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვებისთვის განურჩევლად სქესის, სოციალური, ეთნიკური და რელიგიური ნიშნისა. სტანდარტისა და გეგმის შემუშავების შემდეგ თანამიმდევრულად უნდა განხორციელდეს ინფრასტრუქტურის განახლების სახელმწიფო პროგრამა.

ზოგადი განათლება

სტრატეგიული მიზანი: ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მიღწევა მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების გზით

არსებული მდგომარეობა

საქართველოს ზოგადი განათლების სისტემა სრულად ვერ უზრუნველყოფს ზოგადი განათლების ეროვნული მიზნებით დასახული შედეგების მიღწევას. სისტემური პრობლემების გამო, ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების უმეტესობა სათანადოდ ვერ ამზადებს მოსწავლეებს განათლების შემდგომი საფეხურებისთვის, შრომითი საქმიანობის დაწყების, საზოგადოებაში ინტეგრაციისა და თვითრეალიზაციისათვის.

Საერთაშორისო კვლევების მიხედვით, საქართველოს მოსწავლეთა აკადემიური შედეგები ჩამორჩება საერთაშორისო სტანდარტულ სკალირებულ მაჩვენებელს წიგნიერებაში (რაც გულისხმობს კითხვის, წაკითხულის გააზრების, მიღებული ინფორმაციის დამუშავებისა და პრაქტიკაში გამოყენების უნარს), მათემატიკასა და ბუნებისმეტყველებაში.

სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობისა და გეოგრაფიული განსახლების ნიშნით განსხვავდება მოსწავლეთა მიღწევები. ეს პრობლემა განსაკუთრებით შესამჩნევია ეთნიკური უმცირესობებით კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში, სადაც დაბალია სახელმწიფო ენაზე სწავლა-სწავლების ხარისხი.

სქემა 5: საერთაშორისო შეფასებებში საქართველოს, დსთ ქვეყნების, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის და დასავლეთ ევროპის ქვეყნების საშუალო შედეგები 2009-2011 წლებში



წყარო: შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი, 2014

საშუალო საფეხურზე ჩართულობის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად ჩამორჩება დასავლეთ, ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების იმავე მაჩვენებელს. ზოგად განათლებაში ჩართულობის თვალსაზრისით განსაკუთრებით საგულისხმოა სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეების დაბალი ჩართულობა. აუცილებელია განვითარდეს სპეციალური საგანამანათლებლო საჭიროების მქონე პირების ნიჭის, შემოქმედებითი უნარებისა და შესაძლებლობების რეალიზებაზე ორიენტირებული პროგრამები.

ზოგადი განათლების სისტემაში განსაკუთრებით აქტუალურია მასწავლებელთა კვალიფიკაციისა და პროფესიული ზრდის მოტივაცია. ვერ ხერხდება ახალი, მაღალკვალიფიციური კადრების მოზიდვა, რაც განპირობებულია მასწავლებელთა შრომის დაბალი ანაზღაურებით, პროფესიის არაპრესტიჟულობითა და როტაციის არაკონკურენტული, მოუქნელი მექანიზმით.

მასწავლებელთა პროფესიაში შესვლისა და განვითარების დღემდე არსებულმა სქემებმა ვერ უზრუნველყო, ერთი მხრივ, ახალი კვალიფიციური კადრების მოზიდვა და მასწავლებელთა კორპუსის განახლება და, მეორე მხრივ, მოქმედი მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარება.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ძირითადი ინსტრუმენტი გახდა მოკლევადიანი ტრენინგები და ნაკლები ყურადღება დაეთმო პროფესიული განვითარების ისეთ მოდელებს, რომლებიც ცოდნის მიღების გარდა, თვითშეფასების/რეფლექსიის, ახალი ცოდნის საგაკვეთილო პროცესში გამოყენებისა და ანალიზის შესაძლებლობას აძლევს მასწავლებელს.

მასწავლებლებთან დაკავშირებით, არსებული პრობლემების კონტექსტში ,განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება საგანმანათლებლო რესურსების ხარისხს.

ერთიანი, თანმიმდევრული სტრატეგიის არ არსებობის გამო, არადამაკმაყოფილებელია სახელმძღვანელოების, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და სხვა სასწავლო რესურსების ხარისხი და გამოყენება, ნაკლებად მრავალფეროვანია სასწავლო რესურსების წილი სწავლა-სწავლების პროცესში.

ასევე ვერ განხორციელდა ეროვნული სასწავლო გეგმის ეფექტური დანერგვა სასწავლო პროცესში. ერთი მხრივ, სასწავლო გეგმის ხარვეზების გამო (საგნობრივი სტანდარტებისა და მისაღწევი შედეგების ზოგადი ფორმულირება, მინიმალურ დროში შედეგების მისაღწევი ძალიან მაღალი მოთხოვნები, გადატვირთული პროგრამები, სასწავლო გეგმის დანერგვის ხელშემწყობი პროგრამების არარსებობა, პროგრამების და საგანთა შორის კავშირების ხარვეზები, არჩევითი საგნების სპექტრის არასწორი დაგეგმვა), მეორე მხრივ, სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ ცვლილებებთან დაკავშირებით მოქმედი მასწავლებლების არასათანადო მზაობის გამო, რამაც მოქმედი ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პრობლემები გამოიწვია (მაგალითად, ბუნებისმეტყველების ინტეგრირებულად სწავლება უდავოდ პროგრესული იდეაა და თეორიულად ხელი უნდა შეუწყოს არა მარტო სწავლის შედეგების გაუმჯობესებას, არამედ მასწავლებელთა რესურსის ეფექტურად გამოყენებასაც, მაგრამ საქართველოში ამ ცვლილების გატარებისთვის საჭირო იყო შესაბამისი კომპეტენციის მქონე მასწავლებლების უზრუნველყოფა საუნივერსიტეტო პროგრამებში ცვლილებების შეტანის და/ან მასწავლებლების საფუძვლიანი გადამზადების გზით).

მიუხედავად დეკლარირებული დეცენტრალიზაციისა, წლების განმავლობაში სასკოლო სისტემა ცენტრალიზებულად იმართებოდა. 2005 წელს სკოლებისთვის მინიჭებულ ადმინისტრაციულ (სკოლის დირექტორის დანიშვნა და გათავისუფლება) და ფინანსურ (ბიუჯეტის დაგეგმვა და განკარვა) ავტონომიურობას გამოსაცდელად ხანმოკლე პერიოდი ჰქონდა, არასაკმარისი მხარდაჭერისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმების გარეშე მუშაობდა. დეცენტრალიზაციის ერთ-ერთი შემაფერხებელი ფაქტორი, დღეს ასევე მართვის პროცესში მონაწილე ადამიანური რესურსების არასათანადო შესაძლებლობებია. ამასთან, დაფინანსების არსებული მოდელი (მოცულობა, კომპონენტები და წყაროები) არ ქმნის სკოლის მუდმივი განვითარების გარანტიებს.

დღეისათვის საგანმანათლებლო რესურსცენტრი სათანადოდ ვერ უწყობს ხელს სკოლის განვითარებას და საჭიროა დაიხვეწოს მისი ფუნქცია. ის მხოლოდ დამაკავშირებელი რგოლია ცენტრსა და სკოლებს შორის ტექნიკურ საკითხებთან დაკავშირებით.

გასათვალისწინებელია, რომ სავალდებულო/საბაზო საფეხურის (მე-9 კლასის) დასრულებისას მოსწავლის ასაკი (14-15 წლის) არ იძლევა შრომის ბაზარზე სრულფასოვანი ინტეგრირების შესაძლებლობას. გარდა ამისა, ამ ასაკის ფსიქო-ფიზიოლოგიური თავისებურებებიდან გამომდინარე, მოსწავლე არ არის მზად დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის.

უნდა გადაიხედოს არსებული საგამოცდო მოდელები, რათა გამოსაშვები საატესტატო გამოცდები უკეთ მოერგოს ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტს. ასევე, გადასახედია ორი მნიშვნელოვანი გამოცდის - გამოსაშვები საატესტატო გამოცდისა და ერთიანი ეროვნული გამოცდის ცალ-ცალკე არსებობა, რამდენადაც იხარჯება

სახელმწიფო რესურსები ზედმეტად და არაეფექტურად. ამასთანავე, არსებული მოდელები ხელს უწყობს კერძო რეპეტიტორობის მასშტაბის ზრდას, რაც მძიმე ტვირთად აწვება შინამეურნეობებს და ამძაფრებს სოციალურ უთანასწორობას. დამამთავრებელ კლასში კერძო რეპეტიტორთან მოსწავლეთა 57% ემზადება. მასშტაბები განსხვავებულია ცენტრსა და პერიფერიაში ისევე, როგორც მაღალშემოსავლიან და დაბალშემოსავლიან ჯგუფებში.

ზოგადი განათლების სისტემის ინფრასტრუქტურა არ შეესაბამება თანამედროვე სტანდარტებს და ვერ უზრუნველყოფს უსაფრთხო და ხელშემწყობ გარემოს სწავლა-სწავლებისათვის[2]. იმის გამო, რომ 2008 წლიდან (საქსტატის მონაცემებით) საქართველოს დიდ ქალაქებში შობადობა მნიშვნელოვნად გაიზარდა, არსებული სკოლების საკლასო ოთახები არ არის საკმარისი პირველკლასელთა დიდი ნაკადების მისაღებად და საჭიროა ინფრასტრუქტურის განვითარება.

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ზოგადი განათლების სისტემის განვითარების მიზნით განხორციელდა არაერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა:

ეროვნული სასწავლო გეგმის შემდგომი რევიზიისა და დახვეწის მიზნით განხორციელდა მისი შედარებითი ანალიზი სხვა ქვეყნების ეროვნულ სასწავლო გეგმებთან. გარდა ამისა, განხორციელდა ეროვნული სასწავლო გეგმის მონიტორინგი დაწყებით საფეხურზე (მონიტორინგი გრძელდება საბაზო საფეხურზე), გადაიხედა სასწავლო წლის ხანგრძლივობა და გაუთანაბრდა საერთაშორისო სტანდარტს. სკოლაში შესვლის მინიმალური ასაკი განისაზღვრა 6 წლით.

მასწავლებელთა პროფესიული შესაძლებლობების განვითარებისა და მოტივაციის ამაღლების მიზნით შემუშავდა მასწავლებლის საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების, კარიერული ზრდის სქემა და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები.

ზოგადი განათლების ხელმისაწვდომობა მნიშვნელოვნად განაპირობა მოსწავლეთა სასკოლო სახელმძღვანელოებით უსასყიდლოდ უზრუნველყოფამ და მათი ტრანსპორტით უზრუნველყოფის პროგრამამ. ამ ინიციატივებმა მნიშვნელოვნად გაზარდა გაკვეთილებზე მოსწავლეთა დასწრების მაჩვენებელი იმ რეგიონებში, სადაც სკოლები დიდი მანძილით არის დაშორებული მოსწავლეთა საცხოვრებლი ადგილიდან და ამ ფაქტმა, მსოფლიო ბანკის შეფასებით, 60%-ით შეამცირა ოჯახის წლიური დანახარჯი ზოგად განათლებაზე.

ინკლუზიური განათლების განვითარების მიზნით ყველა საჯარო სკოლაში, სადაც სწავლობს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლე, მუშაობს სპეც მასწავლებელი. ასევე ზოგადი განათლება ხელმისაწვდომი გახდა იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც გადიან გრძელვადიან ამბულატორიულ მკურნალობას, ან იმყოფებიან სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

[2]წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების კვლევა საჯარო სკოლებში (2013), UNICEF

უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველსაყოფად გადაიხედა მანდატურის სამსახურის ფუნქციები და სისტემა უფრო ჰუმანური გახდა.

სკოლების გაძლიერების მიზნით დაფინანსების სისტემაში გამოიკვეთა სკოლის საჭიროებები, რაც სასიცოცხლო მნიშვნელობის იყო მაღალმთიანი და საზღვრისპირა რაიონების სკოლების განვითარებისთვის. გაიზარდა სკოლების პედაგოგების, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ხელფასები. არსებული საბიუჯეტო სახსრების ოპტიმიზაციითა და პრიორიტეტული მიმართულებით, რესურსების მობილიზებით 26-60%-ით გაიზარდა პედაგოგების, ხოლო 40-45%-ით – ადმინისტრაციულ-ტექნიკური პერსონალის ხელფასები. ზოგადად, 2013-2014 წლებში სკოლების ვაუჩერული დაფინანსება დაახლოებით 40 %-ით გაიზარდა.

სკოლების ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციისა და მატერიალურ-ტექნიკური განვითარების პროგრამების ფარგლებში საქართველოს მასშტაბით შესწავლილ იქნა სკოლების ინფრასტრუქტურა და შემუშავდა ინფრასტრუქტურის აღდგენა-განვითარების გეგმა.

სტრატეგიული ამოცანები და ძირითადი ინტერვენციები

ზოგად განათლებაში დასახული სტრატეგის მისარწევად მნიშვნელოვანია მიმდინარე სამუშაოების თანამიმდევრული გაგრძელება და ახალი სისტემური ცვლილებების განხორციელება შემდეგი ძირითადი ამოცანების ფარგლებში.

- **სწავლა-სწავლების ხარისხისა და მოსწავლეების შედეგების გაუმჯობესება**

დაწყებულია **ეროვნულ სასწავლო გეგმის განვითარებაზე მუშაობა,** რომელიც მოიაზრებს ეროვნული სასწავლო გეგმის უწყვეტ განვითარებას, კავშირების გამყარებას საფეხურებს შორის და საგნობრივი სტანდარტების სრულყოფას. უნდა გაგრძელდეს მუშაობა ეროვნული სასწავლო გეგმის დახვეწისა და განვითარების მიმართულებით. განახლებული სასწავლო გეგმის მნიშვნელოვან კომპონენტებს უნდა წარმოადგენდეს: ა) მოსწავლეთა პროგრესზე ორიენტირებული განმავითარებელი შეფასების სისტემის შემუშავება და დანერგვა; ბ) სწავლა-სწავლების პროცესში თანამედროვე, ციფრული და მულტიმედიური ტექნოლოგიების ფართოდ გამოყენება და სხვა თანამედროვე სასწავლო რესურსების განვითარება; გ) კომპეტენციებისა (წიგნიერება, რაოდენობრივი აზროვნება, სამოქალაქო და სოციალური კომპეტენციები,) და პრიორიტეტების (ეკოლოგია , მეწარმეობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, და სხვა) განვითარება; დ) ზოგად განათლებაში მოსწავლეთა პროფესიული ორიენტაციისა და კარერის დაგეგმვის ხელშეწყობა; საშუალო საფეხურზე პროფესიული განათლების ინტეგრაციის ხელშეწყობა;

ეროვნული სასწავლო გეგმის ცვლილებებში ასევე მოიაზრება თორმეტწლიანი ზოგადი განათლების ფარგლებში სავალდებულო განათლების ხანგრძლივობის ერთი წლით

გაზრდა, რათა საბაზო საფეხურის დასრულების შემდეგ მოსწავლე მზად იყოს, პროფესიულ და აკადემიურ განათლებას შორის გაცნობიერებული არჩევანისთვის.

წიგნიერების დონის ამაღლება, სამოქალაქო ცნობიერების განვითარება, სადამრიგებლო საათის ეფექტიანობის გაზრდა კვლავ პრიორიტეტებად რჩება.

სამივე საფეხურის ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზია უნდა დასრულდეს 2016-2017 სასწავლო წლისათვის. ეროვნული სასწავლო გეგმის განახლების პარალელურად უნდა განხორციელდეს მისი იმპლემენტაცია, კონკრეტული ინსტრუმენტები და განრიგი, დაიწყოს მისი დანერგვა. ასევე უნდა შემუშავდეს ხარისხიანი საგანმანათლებლო რესურსების (სახელმძღვანელოები, ელექტრონული რესურსები და სხვა) შექმნისა და გამოყენების გრძელვადიანი პოლიტიკა და სამოქმედო გეგმა.

მნიშვნელოვანია, რომ უფრო მეტი ყურადღება მიექცეს ეთნიკურ უმცირესობებში ზოგადი განათლების ხარისხის ამაღლებას, განსაკუთრებით სახელმწიფო ენის სწავლებასა და სამოქალაქო ცნობიერების განვითარებას.

2016-2017 სასწავლო წლიდან ეტაპობრივად უნდა დაინერგოს განახლებული ეროვნული სასწავლო გეგმა. ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის დასრულების შემდგომ უნდა მომზადდეს შესაბამისი სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო რესურსები. განსაკუთრებულით მნიშვნელოვანია სახელმძღვანელოების ხელმისაწვდომობა და მათი ხარისხის გაუმჯობესება. განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით, მნიშვნელოვანია მშობელთა ჩართულობის ეფექტური პოლიტიკის შემუშავება-იმპლემენტაცია.

ეფექტიანი, თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისი უსაფრთხო, ტოლერანტული, დისკრიმინაციისა და ძალადობისგან თავისუფალი, მოტივაციის წარმომშობი სასწავლო გარემო დაეფუძნება არჩევანის თავისუფლების, თანამშრომლობის, თანაბარი შესაძლებლობებისა და კულტურული თვითმყოფადობის პატივისცემის პრინციპებს. შემუშავდება მოსწავლის ფიზიკური და ემოციური უსაფრთხოების დაცვაზე ორიენტირებული პროგრამები, ექსტრაკურიკულარული აქტივობების ხელშეწყობა და დამატებითი სერვისების (გახანგრძლივებული მომსახურება, სკოლის ექიმი, ფსიქოლოგიური დახმარების სამსახური, შემოქმედებითი და სპორტული წრეები და ა.შ) განვითარება, ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და ინოვაციური ტექნოლოგიების ინტეგრაცია საგანმანათლებლო და სააღმზრდელო პროცესში. ასევე, საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების ინტეგრაცია საგანმანათლებლო პროცეში და სკოლის უსაფრთხოების დაცვის სისტემებში.

მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებით მოკლევადიანი ამოცანაა, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შემუშავებული მასწავლებელთა ახალი პროფესიული სტანდარტისა და მასწავლებლის შესაბამისი საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის ახალი სქემის დამტკიცება და ამოქმედება 2015 წლიდან. აღნიშნულ პროცესს თან უნდა სდევდეს სამოტივაციო პაკეტი,

მათ შორის მასწავლებელთა ანაზღაურების ზრდა მათი საქმიანობის შედეგების შესაბამისად. მასწავლებელთა პროფესიული განვითარება და კარიერული ზრდა უნდა დაეფუძნოს მასწავლებელთა კომპლექსური შეფასების სისტემას.

ახალი სქემის ერთ-ერთ მნიშვნელოვანა მიზანია კვალიფიციური, ახალი კადრების მოზიდვა პროფესიაში კონკურენტული შრომის ანაზღაურებისა და კარიერული წინსვლის პერსპექტივით; შესაბამისად, ახალი სქემის პარალელურად უნდა გადაიხედოს მასწავლებლის მომზადება-გადამზადების პროგრამები, დამტკიცდეს მასწავლებლად დასაქმების წესი, რომელიც დაეფუძნება გამჭვირვალეობის, ობიექტურობისა და კონკურენტულობის პრინციპებს;

2015 წლის განმავლობაში, მასწავლებლის პროფესიულ სტანდარტზე დაყრდნობით, უნდა შეიქმნას მასწავლებლის მომზადებისა და კვალიფიკაციის დადასტურების ახალი საუნივერსიტეტო მოდელი და ის ეტაპობრივად დაინერგოს.

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების პროცესში მნიშვნელოვანი ფუნქცია უნდა დაეკისროს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და პროფესიულ ასოციაციებს, გეგმაზომიერად მომზადდეს ახალი კადრები და მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებაში ჩაერთოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, სკოლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სისტემის დანერგვა-განვითარება და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ალტერნატიული მოდელების შემუშავება.

- **ზოგად განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა**

აღნიშნული ამოცანა მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენდა უკანასკნელი წლების განათლების პოლიტიკაში. ამ მიმართულებით, მნიშვნელოვანია, ზოგადი განათლების მაღალი ხარისხის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ყველა ბავშვისთვის განურჩევლად ასაკის, რელიგიური აღმსარებლობის, საცხოვრებელი ადგილის, ეთნიკური წარმომავლობისა და სოციალური მდგომარეობისა. ინკლუზიური განათლების შემდგომი განვითარება და სრულყოფა, რომლის ეფექტური ზრდისთვის უნდა გაძლიერდეს ცალკეულ ინტერვენციებს შორის კავშირები. მნიშვნელოვანია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის მრავალფეროვანი საგანმანათლებლო სერვისების და პროგრამების უზრუნველყოფა, სკოლა-პანსიონების როლის განსაზღვრა საჯარო სკოლებში ინკლუზიური განათლების განვითარების მიზნით. უნდა ამოქმედდეს პროგრამა: „განათლების მიღების მეორე შესაძლებლობა ფორმალური განათლების მიღმა დარჩენილი პირებისათვის“. სასჯელაღსრულების სისტემაში ხარისხიანი ზოგადი განათლების მიღების უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვანია ალტერნატიული სასწავლო გეგმების მომზადება და იმპლემენტაცია.

უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო ენის სწავლება ეთნიკური უმცირესობებისათვის. ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისათვის უნდა შეიქმნას მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამები.

- **ზოგადი განათლების სისტემის მართვა და დაფინანსება**

ზოგადი განათლების მართვა უნდა გაუმჯობესდეს მოხდეს სისტემის ყველა დონეზე. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამინისტროს ტერიტორიული ორგანოების - რესურსცენტრების გაძლიერება და სკოლების ინსტიტუციური განვითარების ხელშეწყობა. ამ მიზნით მნიშვნელოვანია რესურსცენტრის თანამშრომლების, სკოლის დირექციისა და სამეურვეო საბჭოების წევრების საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესება, მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების განვითარება/გაძლიერება ხელშემწყობი აქტივობების/პროგრამების დანერგვით.

სკოლების ინფრასტრუქტურული შესაძლებლობების სრულყოფის მიზნით უნდა შემუშავდეს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მოვლა-პატრონობის სტანდარტი, რომელიც ორიენტირებული იქნება არსებული მატერიალურ-ტექნიკური მდგომარეობის შეფასებაზე, პრობლემებზე დროულ და ეფექტურად რეაგირებაზე, მოკლევადიანი პერსპექტივით სკოლის მატერიალური ბაზის შენარჩუნებასა და გრძელვადიან პერსპექტივაში განვითარებაზე, რაც ხელს შეუწყობს უსაფრთხო, პოზიტიურ, ხარისხზე ორიენტირებულ სასწავლო გარემოს უზრუნველყოფას.

აუცილებელია თანამედროვე საინფორმაციო/საკომუნიკაციო ტექნოლოგიების განვითარების პოლიტიკის დოკუმენტის შექმნა და სკოლების ტექნოლოგიებით აღჭურვის სამოქმედო გეგმის ფორმირება/იმპლემენტაცია.

სკოლების ავტორიზაციის არსებული სისტემა უნდა შეიცვლოს შედეგზე ორიენტირებული ხარისხის განვითარების სისტემით, რომელიც დაეფუძნება შიდა და გარე შეფასების მექანიზმებს, დაადგენს დაწესებულების თვითშეფასების შესაბამისობას სახელმწიფოს მიერ დადგენილ სტანდარტებთან და უზრუნველყოფს საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის ამაღლებას, გააუმჯობესებს მის საქმიანობას ყველა მიმართულებით. ამ მიზნით უნდა შექმნას და დაინერგოს სასკოლო ბარათების ერთიანი, უნიფიცირებული ელექტრონული მოდელი, რომელშიც აისახება სრული ინფორმაცია სკოლის შესახებ და ხელს შეუწყობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მონიტორინგის სისტემის გაუმჯობესებას, გამჭვირვალობას დაინტერესებული საზოგადოებისათვის და სკოლის საჭიროებებსა და პრიორიტეტებზე დაფუძნებული განვითარების გეგმების შემუშავებას.

უნდა გაგრძელდეს სკოლის განვითარებაზე ორიენტირებული, მათ შორის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი დაფინანსების მექანიზმების სრულყოფა.

ზოგადი განათლების სისტემიდან მომდევნო საფეხურზე გადასასვლელად მნიშვნელოვანია, დაინერგოს საშუალო საფეხურის დასრულების შემდგომ ზოგადი განათლების კომპეტენციების დამადასტურებელი და განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისათვის აუცილებელი მრავალფუნქციური ერთიანი

სახელმწიფო გამოცდები, რომლებიც ჩაანაცვლებს გამოსაშვები საატესტატო გამოცდებისა და ერთიანი ეროვნული გამოცდების არსებულ მოდელებს.

პროფესიული განათლება

სტრატეგიული მიზანი: პროფესიული განათლების როლის გაძლიერება ადამიანური კაპიტალის განვითარების პროცესში და სისტემაში ჩართულობის გაზრდა მისი მიმზიდველობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით.

არსებული მდგომარეობა

პროფესიული განათლების სისტემა სრულად ვერ პასუხობს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც შრომის ბაზარი დღეს დასაქმების მსურველებს უყენებს. ამ ვითარებას ხელს უწყობს ის, რომ ქვეყანაში არ არსებობს შრომის ბაზრის კვლევის სისტემური მექანიზმი, რაც დაეხმარება განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების პოლიტიკის სწორად დაგეგმვაში შრომის ბაზრის არსებული მოთხოვნებისა და სამომავლო ტენდენციების გათვალისწინებით[3].

მოცემულ ეტაპზე, პროფესიულ სტუდენტებს ნაკლებად აქვთ შესაძლებლობა, გარკვეული კომპეტენციების განვითარების შემდეგ, გავიდნენ შრომის ბაზარზე და კვლავ დაბრუნდნენ სისტემაში სწავლის გასაგრძელებლად ან/და ახალი კვალიფიკაციის მისაღებად. მრავალფეროვანი საგანმანათლებლო შესაძლებლობები ხელმისაწვდომი არ არის. საგანმანათლებლო პროგრამები არსებითად ორიენტირებულია პროფესიული უნარების განვითარებაზე და ნაკლებად ავითარებს ისეთ უნარებს, როგორებიცაა კომუნიკაცია, გადაწყვეტილების მიღება და სხვ. სტუდენტთა შეფასების სტანდარტები არ არსებობს და საგანმანათლებლო დაწესებულებები თავად არიან პასუხისმგებელი სტუდენტთა შეფასებაზე. შეფასების ამგვარი მიდგომა არ იძლევა არც შეფასების სტანდარტიზაციისა და არც ერთსა და იმავე პროფესიულ სფეროში სხვადასხვა სასწავლებლის მიერ გაცემული კვალიფიკაციების იდენტურობის გარანტიას. სტუდენტთა შეფასების არსებული სისტემა, უფრო ცოდნას აფასებს, ვიდრე - კომპეტენციას, საკმაოდ იშვიათია კრიტერიუმზე ორიენტირებული შეფასება.

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების არათანაბარი გეოგრაფიული არეალი და სასწავლო ადგილების არაპროპორციული განაწილება განაპირობებს დაბალ ჩართულობას და ნაკლებ ხელმისაწვდომობას ფორმალური განათლების ამ საფეხურზე. 2013 წლიდან სახელმწიფო სრულად აფინანსებს პროფესიულ სტუდენტთა განათლებას სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. მნიშვნელოვანწილად შესაძლოა ამით არის განპირობებული, რომ ბოლო მონაცემების თანახმად, პროფესიულ სტუდენტთა მიერ სწავლის მიტოვების საშუალო მაჩვენებელი შემცირდა 20%-იდან (2012 წელი) 8%-ამდე (2013 წელი) (EMIS, 2014). მიუხედავად მიღწეული შედეგისა, მნიშვნელოვანია, რომ მრავალმხრივ გაანალიზდეს სტუდენტთა მიერ სწავლის მიტოვების

[3]პროფესიული განათლების შესაბამისობა დასაქმების ბაზრის მოთხოვნასთან (2010), GIZ

გამომწვევი ფაქტორები. არსებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე ასეთ ფაქტორებად იკვეთება შერჩეული პროგრამებისთვის სტუდენტთა დაბალი აკადემიური მზაობა, პროფესიის შერჩევისას ინფორმაციის ნაკლებობა, პროფესიული ორიენტაცია, არასაკმარისი კონსულტაცია და სხვა.[12]

საქართველოში პროფესიული განათლება არამიმზიდველი და ნაკლებად მოთხოვნადია. არ არსებობს სტრუქტურული და შინაარსობრივი კავშირები პროფესიულ განათლებასა და განათლების სხვა საფეხურებს შორის. განსაკუთრებით პრობლემურია პროფესიული განთლებიდან უმაღლესი განათლების საფეხურზე გადასვლა. ხელოვნურად არის გართულებული კვალიფიკაციის დონეების მიხედვით განაწილების სისტემა.

არ არსებობს პროფესიული განთლების პედაგოგთა მომზადებისა და შემდგომი პროფესიული განვითარების სისტემა[4][5]. საჭიროა პროფესიული განათლების პედაგოგთა პროფესიული სტანდარტის მნიშვნელოვანი გადამუშავება, რომლის საფუძველზეც შესაძლებელი იქნება მასწავლებელთა შეფასება და შემდგომი პროფესიული განვითარების სტრატეგიის განსაზღვრა.

პროფესიული განათლების სისტემაში არასაკმარისად არის განვითარებული სოციალური პარტნიორობა[6] და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობა.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ 2013 წელს, ევროკავშირის მხარდაჭერითა და დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, შეიმუშავა პროფესიული განათლების რეფორმის (2013-2020 წლებისათვის) სტრატეგია. დაიწყო შესაბამისი სამოქმედო გეგმის განხორციელება.

2014 წელს, წინა წლებთან შედარებით, პროფესიული განათლების ბიუჯეტი გაორმაგდა და შესაძლებელი გახდა სისტემური ცვლილებების გატარების დაწყება.

სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში შესაძლებელი გახდა პროფესიული განათლების მიღება სრული სახელმწიფო დაფინანსებით.

პროფესიულ განათლებაში დაიწყო ინკლუზიური განათლების დანერგვა. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებს შესაძლებლობა მიეცათ სწავლის პროცესში ისარგებლონ ინკლუზიური განათლების სპეციალისტებისა და დამხმარე თანამშრომლების მომსახურებით.

---

[4]მასწავლებელთა და ტრენერთა შესაძლებლობებში არსებული ხარვეზების შეფასება საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში (2011),UNDP

[5]პროფესიული სასწავლებლების პედაგოგების საჭიროებათა კვლევა (2012), მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი

[6]სოციალური პარტნიორობის პრობლემები და გამოწვევები საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში (2013), ევროპის განათლების ფონდი;

[12]საქართველოs განათლების სფეროს პოლიტიკის შეფასება: სტრატეგიული საკითხები და რეფორმების დღის წესრიგი; WorldBank, 2014

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 200-მდე პირი უკვე ეუფლება მისთვის სასურველ პროფესიას სახელმწიფო დაფინანსებით. მიმდინარეობს მუშაობა ფიზიკური ინფრასტრუქტურის ადაპტირების პროექტებზე.

2014 წელს გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები არსებული სახელმწიფო კოლეჯების ინფრასტრუქტურული, ფუნქციური და სტრუქტურული გაუმჯობესების კუთხით.

შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების კონცეფციის პროექტი; პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასები გაიზარდა საშუალოდ 35-40%-ით.

პროფესიული მომზადების პროგრამების განხორციელება დაიწყო ასევე მსჯავრდებულებისთვისაც. 2013-2014 სასწავლო წელს 100-მდე ბენეფიციარმა მიიღო პროფესიული განათლება და შესაბამისი უნარები საზოგადოებაში რეინტეგრაციისა და რესოციალიზაციის მიზნით.

პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზრის მოთხოვნებთან დაკავშირების მიზნით, დამსაქმებელთა მონაწილეობით დაიწყო პროფესიული სტანდარტების გადამუშავება ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის მიერ რეკომენდებული მეთოდოლოგიით.

საქართველო ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეში ინტეგრაციისაკენ მიისწრაფის, რის გამოც, ევროკავშირის ქვეყნებში საგანმანათლებლო პროგრამების სფეროში განხორციელებული და მიმდინარე რეფორმების გათვალისწინება მნიშვნელოვანია. აღნიშნული რეფორმები ძირითადად შემდეგ ცვლილებებს ითვალისწინებს: სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომის დანერგვა მასწავლებლებზე ორიენტირებული მიდგომის სანაცვლოდ; სტრუდენტის საჭიროებებზე მორგებული პროგრამები ყველა სტუდენტისათვის ერთი ტიპის/უნიფიცირებული პროგრამების სანაცვლოდ; მოქნილი პროგრამები ხისტი საგანმანათლებლო პროგრამების სანაცვლოდ; სწავლის შედეგებზე ორიენტირებული საგანმანათლებლო პროგრამები რესურსებზე (ადამიანური, მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური) ორიენტირებული პროგრამების სანაცვლოდ. სწორედ ამ მიდგომების დანერგვის მიზნით, 2013 წელს, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმის ხედვა, რომელიც მოქნილი, კომპეტენციებზე დაფუძნებული, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება-განხორციელებას ითვალისწინებს.

2013 წელს, ევროკავშირის ახალი ინიციატივის ,,მეტი მეტისთვის" ფარგლებში, საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირის წარმომადგენლობას შორის გაფორმდა ფინანსური შეთანხმების დოკუმენტი და ამოქმედდა პროგრამა (,,პოფესიული განათლება და დასაქმება"), რომლის წარმატებით განხორციელების შემთხვევაში საქართველო ევროკავშირისაგან მიიღებს საბიუჯეტო და ტექნიკურ დახმარებას.

პროგრამა ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიის დარეგულირებას და ახალი კონცეფციის მომზადებას, შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტანდარტების შემუშავებას, მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების დანერგვას, პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის სისტემის ჩამოყალიბებას, დასაქმების პოლიტიკის სტიმულირებას და სხვა მნიშვნელოვან საკითხებს.

საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის ფარგლებში აქტიურად მიმდინარეობს მუშაობა საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების დოკუმენტით გათვალისწინებულ საკითხებზე: პროფესიული განათლების სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის ანალიზი და ჰარმონიაში მოყვანა ევროპულ მიდგომებთან, პროფესიულ კვალიფიკაციათა სისტემის მისადაგება ევროპულ საკავლიფიკაციო ჩარჩოსთან, პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ევროპულ გამოცდილებაზე დაყრდნობით და სხვ.

სტრატეგიული ამოცანები და ძირითადი ინტერვენციები

პროფესიულ განათლებაში დასახული სტრატეგიული მიზნის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია რეფორმის თანამიმდევრული გაგრძელება და დამტკიცებული სამოქმედო გეგმის განხორციელება ოთხი ძირითადი ამოცანის შესაბამისად.

- **სისტემის მოქნილობისა და მიმზიდველობის გაზრდა**

პროფესიული განათლება აღარ უნდა განიხილებოდეს როგორც განცალკევებული სფერო, არამედ როგორც განათლების ერთიანი სისტემის ნაწილი. ,,საგანმანათლებლო ჩიხის" აღმოფხვრის მიზნით, საშუალოვადიან პერსპექტივაში, დაგეგმილია პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების კომპონენტის დანერგვა, რაც სტუდენტს საშუალებას მისცემს პროფესიული განათლების დასრულების შემდეგ სწავლა განაგრძოს განათლების შემდგომ საფეხურზე. კრედიტების დაგროვებისა და ტრანსფერის სისტემის ჩამოყალიბება შესაძლებელს გახდის პროფესიულ განათლებაში მიღებული ცოდნის აღიარებას უმაღლესი განათლების საფეხურზე.

პრიორიტეტია პროფესიული განათლების ისეთი სისტემის ჩამოყალიბება, რომელიც თანაბარ ყურადღებას მიაქცევს როგორც ზრდასრულთა განათლებას, ასევე ახალგაზრდებისათვის საგანმანათლებლო შესაძლებლობების გაფართოებას. ახალი მიდგომით, საგანმანათლებლო პროგრამებში ყურადრება ექცევა არა მხოლოდ პროფესიულ, არამედ საკვანძო კომპეტენციების განვითარებას, ამ თვალსაზრისით, პროფესიული განათლების ფარგლებში კიდევ უფრო გაღრმავდება ზოგადი განათლების საფეხურზე ჩამოყალიბებული ხედვა, დემოკრატიული ღირებულებები, კომუნიკაციის უარი და სხვა საკვანძო კომპეტენციები, რომლებიც უმნიშვნელოვანესია კურსდამთავრებულთა პიროვნული და კარიერული განვითარებისათვის. მნიშვნელოვანია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარება. ასევე, ქვეყნის ფარგლებს გარეთ მიღებული პროფესიული განათლების აღიარების მექანიზმების შემუშავება და დანერგვა.

საშუალოვადიან პერსპექტივაში, 2014-2017 წლებში, საგნებზე დაფუძნებული პროგრამებიდან სისტემა გადავა მოდულური საგანმანათლებლო პროგრამებით სწავლებაზე. აღნიშნული მიდგომა დაგვეხმარება, რომ საგანმანათლებლო პროგრამები იყოს მოქნილი, ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული და კომპეტენციებზე დაფუძნებული, რაც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებასა და თვითდასაქმებას.

ახალი საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში დიდი ყურადღება დაეთმობა სამეწარმეო განათლებას, საკუთარი ბიზნესის წამოწყებისთვის საჭირო ცოდნის გადაცემას, მხარდაჭერილი იქნება სტუდენტთა პრაქტიკული სწავლება, პროფესიული ცოდნისა და კომპეტენციების რეალურ სამუშაო გარემოში დაუფლების შესაძლებლობა. დამსაქმებლებს საშუალება მიეცემათ მონაწილეობა მიიღონ პროფესიული განათლების ციკლის ყველა ეტაპზე – კვალიფიკაციის ფორმირებიდან კვალიფიკაციის მინიჭების ჩათვლით. აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს პროფესიული განათლების როლის გაძლიერებას ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში და სისტემას უფრო მიმზიდველს გახდის.

- **პროფესიული განათლების სისტემის შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტაცია და სოციალური პარტნიორობის ხელშეწყობა**

სოციალური პარტნიორები უნდა მონაწილეობდნენ პროფესიული განათლების პოლიტიკის ჩამოყალიბებისა და განხორციელების პროცესებში. ამისათვის მნიშვნელოვანია მათთვის სხვადასხვა წამახალისებელი ინიციატივების შეთავაზება, საჯარო და კერძო პარტნიორობის ჩამოყალიბებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, რაც ხელს შეუწყობს რესურსების მობილიზებას და პროფესიული განათლების ხარისხისა და შესაბამისობის გაუმჯობესებას.

პროფესიული სტანდარტები, რომლებიც პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების საფუძველია, უნდა შემუშავდეს სექტორის, პროფესიისა და სამუშაოს ანალიზის საფუძველზე სტანდარტული მეთოდოლოგიის გამოყენებით. უნდა გაგრძელდეს მუშაობა საგანმანათლებლო პროგრამების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოსაყვანად; უზრუნველყოფილ იქნას საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა-განხორციელების მოქნილობა და სხვადასხვა საჭიროების მქონე სტუდენტების მოთხოვნებთან შესაბამისობა.

პროფესიული განათლების სისტემაში უნდა გაძლიერდეს პროფესიულ სტუდენტთა დასაქმება/თვითდასაქმებას, მათ შორის, ეფექტური პროფესიული ორიენტაციის სერვისის მიწოდებას, მეწარმეობის სწავლებას და სხვ. ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების/თვითდასაქმების მაჩვენებლის დასადგენად, უნდა დაინერგოს მეთოდი. აღნიშნული მიმართულებით 2014 წელს დაგეგმილია კვლევის მეთოდოლოგიის პილოტირება, ხოლო 2015 წლიდან –სისტემის დონეზე დანერგვა.

- **პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ინსტიტუციური განვითარება**

პროფესიული განათლების სისტემა უფრო მიმზიდველი უნდა გახდეს როგორც ახალბედა, ასევე ბაზარზე მომუშავე კვალიფიციური კადრებისათვის. ჩამოყალიბების ეტაპზეა პროფესიული განათლების მასწავლებლის მომზადებისა და პროფესიული განვითარების სისტემა. 2014-2017 წლებში პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელი გაივლის პრაქტიკულ ტრენინგს მაღალტექნოლოგიურ საწარმოო გარემოში.

ინსტიტუციური განვითარების მიზნით პრიორიტეტულია კოლეჯების ადმინისტრაციის თანამშრომელთა შესაძლებლობების გაძლიერება, მათ შორის, დაფინანსების დამატებითი რესურსების მოზიდვის მიმართულებით.

მნიშვნელოვანია პროფესიული განათლების სფეროს სპეციფიკაზე ორიენტირებული ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ჩამოყალიბება და მისი ევროპულ მიდგომებთან დაახლოება.

დაფინანსების წყაროების გაფართოების და ფონდების გენერირების მიზნით, მუშაობა უნდა გაგრძელდეს პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელზე. გრძელვადიან პერსპექტივაში სისტემამ უნდა უზრუნველყოს დაფინანსების ეფექტური განაწილება, და პროფესიული განათლების ეფექტური და ეფექტიანი მართვა.

- **პროფესიულ განათლებაზე თანაბარი ხელმისაწვდომობა**

მნიშვნელოვანია პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომის გაზრდა როგორც გეოგრაფიულ, ასევე სოციალურ კონტექსტში. ამისათვის აუცილებელია ქვეყნის მასშტაბით არსებული პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების გაძლიერება, მათი ტექნიკურ-მატერიალური ბაზის განახლება და ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობისათვის ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების განვითარება. პრიორიტეტულია სოციალურად მოწყვლადი ჯგუფების (დევნილები, მსჯავრდებულები, ყოფილი პატიმრები, სოციალურად დაუცველები, ეთნიკური უმცირესობები, შშმპ, სსმპ და სხვ.) პროფესიული განათლების სისტემაში ჩართვა და გენდერული თანასწორობის პრინციპების დაცვა. უნდა გაძლიერდეს სახელმწიფო ენის სწავლება ეთნიკური უმცირესობებისათვის. ოკუპირებული რეგიონების მოსახლეობისათვის უნდა შეიქმნას მათ საჭიროებებზე მორგებული საგანმანათლებლო პროგრამები. მნიშვნელოვანია, რომ ზოგადი განათლების მიღმა დარჩენილმა პირებმა შეძლონ პროფესიული განათლების დაუფლება.

უმაღლესი განათლება

მიზანი: უმაღლესი განათლების როლის გაძლიერება ახალი ცოდნის შექმნაში, დაგროვებასა და გადაცემაში და სისტემის ხელმისაწვდომობის გაზრდა

არსებული მდგომარეობა

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის არსებული სისტემა დღეისათვის არ ფლობს საკმარის ინფორმაციას სისტემის შედეგების შესახებ, თუმცა გარე კვლევებისა და შეფასებების თანახმად საქართველოში უმაღლესი განათლება ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს. კერძოდ, ვერ უწყობს ხელს ახალი ცოდნის გენერირებასა და მაღალკონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის ფორმირებას[7].

კვლევისა და სწავლის ერთიანი სივრცის შექმნის მიმართულებით საქართველოში დღეისათვის მნიშვნელოვანი პრობლემები არსებობს. არაეფექტურად ხორციელდება სწავლებისა და კვლევის პროცესი სადოქტორო საფეხურზე[8]. არ არის მკაფიოდ ჩამოყალიბებული აკადემიური პერსონალის კვლევითი დატვირთვა და უნივერსიტეტებში ინტეგრირებული სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების პასუხისმგებლობები სადოქტორო პროგრამების განხორციელებაში. დოქტორანტების რაოდენობა მნიშვნელოვნად აღემატება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების არსებულ რესურსებს.

სუსტად არის განვითარებული სწავლების ალტერნატიული ფორმები (მაგ. დისტანციური სწავლება), მოქნილი პროგრამები და სწავლა-სწავლების თანამედროვე ტექნოლოგიები.

უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის არსებული სისტემა ყურადღებას ამახვილებს რესურსების და არა შედეგების შეფასებაზე[9]. პროგრამების აკრედიტაციის მექანიზმი ვერ უზრუნველყოფს ხარისხის შეფასების პროცესში საერთაშორისო პარტნიორების ჩართვას. გარდა ამისა, სტუდენტზე გათვლილი დაფინანსების სისტემის მიბმა აკრედიტაციის პროცესთან ხელოვნურად ზრდის აკრედიტებული პროგრამებისა და სტუდენტების რაოდენობას, რაც უარყოფითად აისახება ხარისხზე.

არსებობს შემაფერხებელი ფაქტორები სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის საერთაშორისო მობილობისათვის.

უმაღლესი განათლების დაფინანსების არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მუდმივი ინსტიტუციური განვითარების გარანტიებს.

---

[7] Skills Mismatch and Unemployment/Labor market challenges in Georgia (2013), WorldBank
[8] უმაღლესი განათლების სტრატეგიული განვითარება საქართველოში (2013), EPPM
[9] Tertiary education governance and financing in Georgia (2013), World Bank

უმაღლესი განათლების დაფინანსებაში, ერთი მხრივ, დაბალია სახელმწიფო დაფინანსების წილი, ხოლო, მეორე მხრივ, პრაქტიკულად არ არსებობს დაფინანსების სხვა დამატებითი წყაროები. ძირითადი დატვირთვა მოდის შინამეურნეობებზე, რაც განაპირობებს უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის პრობლემას, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი ფენისათვის.[10]

2013 წლიდან საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა უმაღლესი განათლების ხარისხისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის მიმართულებით.

კერძოდ, ორჯერ გაიზარდა სოციალური პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული სტუდენტების რიცხვი, ასევე გაორმაგდა პროგრამის – „სახელმწიფო სტიპენდიები სტუდენტებს“ – ბიუჯეტი.

სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებლებში განსხვავებული დაფინანსების წესით დაფინანსდა 21 პრიორიტეტული მიმართულება. დღეისათვის 50%-ზე მეტი სტუდენტი იღებს სრულ ან მინიმუმ 50%-იან დაფინანსებას.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში კვლევითი საქმიანობის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით 2013 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ პირველად გასცა სახელმწიფო გრანტები დოქტორანტებისათვის. ასევე, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის უზრუნველყოფილი იქნა უფასო წვდომა რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალების ბაზაზე.

2013 წელს დაიწყო სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისათვის აუცილებელი წიგნადი ფონდის განახლების პროგრამა.

მიმდინარეობს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სტანდარტებისა და ზოგადი სტრატეგიის გადახედვა პროცესების ინტერნაციონალიზაციისა და გამჭვირვალობის გაზრდის უზრუნველყოფისათვის.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინიციატივით განხორციელდა საკანონმდებლო ცვლილებები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ადმინისტრაციული და ფინანსური ავტონომიურობის გაზრდის მიზნით.

2014 წელს განხორციელდა საქართველოს აფილირება უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ევროპულ ასოციაციაში.

2014 წელს ევროპის საბჭოს მიერ შეფასდა ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა და შემუშავდა რეკომენდაციები ამ სისტემის ევროპულ სტანდარტებთან დასაახლოებლად. ევროპის საბჭო ასევე განახორციელებს ცვლილებების მონიტორინგს.

[10] Berryman, S., Mikeladze M. & Andguladze, N. (2011) Assessment of the Education Sector in the Republic of Georgia

მიმდინარეობს მუშაობა უმაღლესი განათლების დაფინანსების მოდელის სრულყოფის მიმართულებით.

სტრატეგიული ამოცანები და ძირითადი ინტერვენციები

უმაღლეს განათლებაში დასახული სტრატეგიული მიზნის მიღწევისათვის მნიშვნელოვანია მიმდინარე სამუშაოების თანამიმდევრული გაგრძელება და ახალი სისტემური ცვლილებების განხორციელება შემდეგი ამოცანების ფარგლებში:

- **უმაღლესი განათლების ხარისხის მართვისა და დაფინანსების მოდელის სრულყოფა**

ამ ამოცანის ფარგლებში საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფა და დაფინანსების მოდელის შეცვლა უმაღლესი სასწავლებლების მუდმივი განვითარების გარანტიების უზრუნველყოფისათვის.

2015 წლისათვის განახლდება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმები და სტანდარტები და გადაიხედება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, როგორც სტუდენტზე გათვლილი დაფინანსების, წინაპირობა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის, როგორც განვითარებაზე ორიენტირებული შეფასების მექანიზმების, ჩამოყალიბებისთვის 2014 წელს ჩატარდა მოსამზადებელი სამუშაოები, რომლის შედეგადაც 2015 წელს სისტემაში დაინერგება შემდეგი ცვლილებები:

- ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესები დაეყრდნობა განახლებულ სტანდარტებს, რომლებსაც შეიმუშავებს 12 სამუშაო ჯგუფი (11 აკრედიტაციისა და 1 ავტორიზაციის ჯგუფი).
- შეიცვლება თვითშეფასების პროცესის მიმართ მიდგომა. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის თვითშეფასების პროცესი გახდება თვითანალიზის სავარჯიშო, რომლის დროსაც ინსტიტუციები კრიტიკულად შეაფასებენ საკუთარ თავს და დასახავენ განვითარების გზებს.
- ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში, ქართველ კოლეგებთან ერთად ჩაერთვებიან საერთაშორისო ექსპერტები საგანმანათლებლო პროცესების გაუმჯობესების, გამოცდილების გაზიარებისა და გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად. იმავე პრინციპით სტუდენტები ჩაერთვებიან შეფასების პროცესში.
- სისტემის მოქნილობის გასაზრდელად დაინერგება **პირობითი** ავტორიზაცია და აკრედიტაცია. ასევე გაიმიჯნება პირველადი და განმეორებითი ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცედურები.
- შეიქმნება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გადაწყვეტილებების აპელაციის შიდა მექანიზმი. ეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში მინიმუმამდე შეამცირებს შესაძლო ხარვეზებს და უზრუნველყოფს ავტორიზაციისა და აკრედიტაციის გადაწყვეტილებების თანამიმდევრულობას.

2015 წელი იქნება ახალ სისტემაზე გადასვლის გარდამავალი ფაზა. წლის პირველი ნახევარი დაეთმობა განახლებული სისტემისთვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მომზადებას.

- მომზადდება დეტალური გზამკვლევი თვითშეფასების განსახორციელებლად, მომზადება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მეთოდოლოგიური გზამკვლევი, როგორც უსდ-ების, ასევე შემფასებლებისთვის.
- დამუშავდება ტრენინგები თვითშეფასების საკითხებზე.
- ქართველი შემფასებლები გადამზადდებიან ახალი სტანდარტების შესაბამისად.

2015 წლის მეორე ნახევარი დაეთმობა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის ახალი სისტემის პილოტირებას. ამავე პერიოდისთვის გადაიხედება ავტორიზაციისა და აკრედიტაციის საფასურის ფორმულა, რომელშიც სხვა ცვლადებთან ერთად გათვალისწინებული იქნება დაწესებულების პროგრამებისა და სტუდენტების რაოდენობა.

გაიზრდება ავტორიზაცია-აკრედიტაციის მოქმედების ხანგრძლივობა და სისტემა გადავა 7-წლიან ციკლზე.

მოკლევადიან პრიორიტეტს აგრეთვე წარმოადგენს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების შედეგზე ორიენტირებული ინსტიტუციური დაფინანსების მოდელის ამოქმედება 2016 წლისათვის. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების მდგრადობის უზრუნველსაყოფად 2015 წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები დამატებით უნდა დაფინანსდეს ქვეყნის სტრატეგიული პრიორიტეტების მიხედვით და შემუშავდეს სახელმწიფო უმაღლესი სასწავლებლების დაფინანსების დივერსიფიცირებული მოდელი.

სამინისტრო გააგრძელებს მუშაობას უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ეკონომიკური საქმიანობის ხელშემწყობი და ფინანსური მართვის მექანიზმების დახვეწის მიმართულებით და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში განახორციელებს აკადემიური და კვლევითი პერსონალის განვითარების პოლიტიკის სტიმულირებას.

2015 წელს ასევე დაიწყება სკოლის შემდგომი განათლების მართვის ერთიანი საინფორმაციო სისტემის (TEMIS) შემუშავება და დანერგვა.

- **შიდა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება და მობილობის ხელშეწყობა**

ამ ამოცანის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გააგრძელებს მუშაობას საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემის ერთიან ევროპულ სივრცეში ინტეგრირების მიმართულებით.

კერძოდ, უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების სრულყოფის მიმართულებით ეს პროცესი მოიცავს საერთაშორისო აკრედიტაციის სააგენტოების მიერ მინიჭებული აკრედიტაციის აღიარების მექანიზმის შექმნასა და ხარისხის უზრუნველყოფის ეროვნული სისტემის ინტერნაციონალიზაციას უცხოელი ექსპერტების

თანამონაწილეობით. 2015 წელს უნდა აღმოიფხვრას სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის მობილობის შემაფერხებელი საკანონმდებლო ბარიერები.

2014 წელს საქართველოს მთავრობამ განათლებისა და მეცნიერების მინისტრსა და სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე დაიწყო მილენიუმის გამოწვევის ფონდის მეორე კომპაქტის (140 მილიონი აშშ დოლარის გრანტის ფარგლებში) განხორციელება, სამი ქართული უნივერსიტეტის კონსორციუმის ბაზაზე ახალი საინჟინრო სკოლისა და პროგრამების განვითარება. 4 წლის შემდეგ საქართველოში გვეყოლებიან თვისობრივად განსხვავებული კურსდამთავრებულები ზუსტი, საბუნებისმეტყველო და საინჟინრო მიმართულებებით, რაც ქმნის წინაპირობას, რომ ამ დარგებში [STEM] აუცილებელი იქნება სწავლების შემდგომი საფეხურების უზრუნველყოფა. იგეგმება განათლების სივრცეში კერძო სექტორისა და საერთაშირისო საგანმანათლებლო დაწესებულებების ქმედითი ჩართულობა თვისობრივად ახალი სამაგისტრო და სადოქტორო სკოლის განვითარების პროცესში.

უმაღლესი განათლების სისტემის სტრუქტურული სრულყოფის კუთხით უნდა გადაიხედოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო. შედეგად, 2014 წლის ბოლოს მზად იქნება საკანონმდებლო ცვლილებების პაკეტი, რომელიც უზრუნველყოფს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან დაახლოებას. საკანონმდებლო ცვლილებებთან ერთად შემუშავდება სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს განახლებული ჩარჩოს შესაბამისი ცვლილებების დანერგვის ეტაპებს საგანმანათლებლო სისტემაში. 2015 წლის შემდეგ განხორციელდება ჩარჩოს თვითსერტიფიცირება (ევროპული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან თანხვედრის აღიარება).

ამასთანავე, სამინისტრო ხელს შეუწყობს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების ამოქმედებასა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების თანამედროვე, საერთაშორისო საინფორმაციო, საგანმანათლებლო და კვლევით რესურსებზე წვდომის გაზრდას.

- **კვლევისა და სწავლის ერთიანი სივრცის ფორმირება**

კვლევისა და სწავლის ერთიანი სივრცის ფორმირებისათვის სამინისტროს მოკლევადიან გეგმაში შედის: ა) საფეხურის განვითარების პოლიტიკისა და სტანდარტების სრულყოფა; ბ) სამაგისტრო-სადოქტორო სკოლების (Graduate School) მოდელის შემუშავება; გ) სადოქტორო საფეხურის სახელმწიფო დაფინანსების გაზრდა და დაფინანსების მექანიზმის სრულყოფა.

ასევე, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის კრიტერიუმების დაზუსტების გზით ხელი შეეწყობა აკადემიური და კვლევითი პერსონალის საქმიანობის ფარგლებში კვლევისა და სწავლების კომპონენტების დაბალანსებას.

შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებებითა და დაფინანსების მოდელის სრულყოფით უმაღლეს საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებს შორის უნდა გაძლიერდეს თანამშრომლობა სწავლებისა და კვლევის პროცესის ინტეგრაციისათვის.

სწავლებისა და კვლევის ინტეგრაციისათვის უსდ-ებში 2015 წელს უნდა განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

1. საკანონმდებლო მიმართულებით 2015 წლის პირველი 6 თვის განმავლობაში:
    - უნდა განისაზღვროს უსდ-ების სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების სტატუსი, მათი ფუნქციები და მონაწილეობა კვლევისა და სწავლების წარმართვაში;
    - უნდა განისაზღვროს მკვლევარი პროფესორის სტატუსი, მისი ფუნქციები და პასუხისმგებლობები სწავლების სამივე საფეხურზე, განსაკუთრებით კი სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე სწავლებისა და კვლევის პროცესის ხარისხისა და ეფექტიანობის ამაღლებისათვის;
    - უნდა შეიქმნას სამეცნიერო საბჭოები, რომლებიც პასუხისმგებლები იქნებიან უსდ-ების სამეცნიერო მიმართულების განვითარებაზე.
    - უნდა არსებობდეს შესაძლებლობა, რომ ასეთი სამეცნიერო საბჭოები კონსორციუმის ფარგლებში ერთობლივად შეიქმნას რამდენიმე უსდ-ის (ინგლისის, ფინეთის გამოცდილება) რესურსებისა და ადამიანური კაპიტალის კონსოლიდაციისათვის;
    - სამეცნიერო შედეგების ეფექტურობის შეფასებისათვის უნდა დაინერგოს გაზომვადი კრიტერიუმები და უსდ-ებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა რესურსებისა და მიღწევების კვალობაზე შეიცვალონ სტატუსი (სასწავლო უნივერსიტეტი-კვლევითი უნივერსიტეტი). საერთო კრიტერიუმების არსებობა ხელს შეუწყობს ქვეყანაში შიდა რეიტინგული სისტემის განვითარებას უსდ-ების სასწავლო და სამეცნიერო აქტივობის შეფასებისათვის და ასევე ანგარიშვალდებულების საჯაროობასა და გამჭვირვალობას.

- **სოციალური პარტნიორობის განვითარება, ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადობის გაზრდა**

ბაზრის მოთხოვნებთან უმაღლესი განათლების თავსებადობის გაზრდისთვის განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ხელს შეუწყობს: სტუდენტური და კარიერული სერვისების განვითარებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში; პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების განვითარებასა და დასაქმების ხელშემწყობი პოლიტიკის განხორციელებას; ზრდასრულთა სწავლების მოკლევადიანი, ალტერნატიული, მოქნილი და მრავალფეროვანი პროგრამების დანერგვას, საჯარო სექტორისა და ბიზნესის პარტნიორობას სწავლებისა და კვლევის ინოვაციებისა და ტექნოლოგიების, ასევე კვლევებისა და განვითარების ხელშეწყობისათვის.

2016 წლიდან უნდა ამოქმედდეს განათლების სისტემაში ჩართული ადამიანური რესურსების მომზადებისა და გადამზადების განახლებული პროგრამები, ყველა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელში გამართული ფუნქციონირება უნდა დაიწყოს სტუდენტების კარიერული სერვისის ცენტრებმა.

- **უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის ბარიერების აღმოფხვრა**

უმაღლესი განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდა სოციალურად დაუცველი ფენისათვის ბოლო წლების განმავლობაში სამინისტროს მთავარი პრიორიტეტია.

მომდევნო წლების განმავლობაში უნდა გაგრძელდეს უმაღლესი განათლების სახელმწიფო დაფინანსების სქემაში სოციალური კომპონენტის გაძლიერება და ბენეფიციართა წრის გაფართოება; ასევე, სამინისტრო ხელს შეუწყობს სტუდენტური სესხების ხელმისაწვდომის გაზრდასა და, ზოგადად, სტუდენტური სესხის სისტემის განვითარებას.

2015 წლიდან უნდა დაიწყოს საკანონმდებლო ბაზის შექმნა ბიზნესისა და საჯარო სექტორის ისეთი ერთობლივი ინიციატივების მხარდაჭერისათვის, რომელიც ეხება განათლებასა და მეცნიერებას, ინოვაციებსა და ტექნოლოგიებს, კვლევასა და განვითარებას. უნდა შემუშავდეს ფილანტროპიის კანონი, რომელიც შექმნის სივრცეს ბიზნესის აქტიურად ჩართვისათვის ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური კაპიტალის განვითარებაში.

საქართველოს პრემიერ-მინისტრთან არსებული კვლევებისა და ინოვაციების საბჭოს კოორდინაციით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო და მათი დაქვემდებარებული სსიპ-ები, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო და შოთა რუსთველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი შეიმუშავებენ სახელმწიფოს მეირ პრიორიტეტულად გამოცხადებული მიმართულებებით გამოყენებითი, ინოვაციური და ტექნოლოგიების განვითარების პროექტების დაფინანსების მოდელს.

მეცნიერება

მიზანი: კვლევითი პოტენციალის გაძლიერება ეკონომიკური და სოციალური განვითარებისა და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისათვის

არსებული მდგომარეობა

მეცნიერების ხარისხის უზრუნველყოფის არსებული სისტემა დღეისათვის ვერ იძლევა საკმარის ინფორმაციას სისტემის შედეგების შესახებ, თუმცა ქვეყნის სამეცნიერო პოტენციალის გაძლიერების აუცილებლობაზე მიუთითებს საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალების ნუსხებში საქართველოს კვლევითი პროდუქციის ნაკლებად

არსებობა და კომერციალიზაციის დაბალი მაჩვენებელი. შედარებით სუსტია ეროვნული სამეცნიერო პოტენციალის ინტეგრირების ხარისხი საერთაშორისო სამეცნიერო წრეებში[11][12].

მიუხედავად იმისა, რომ სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების დიდი ნაწილი დღეისათვის ფუნქციონირებს უნივერსიტეტების ფარგლებში, დღეს არსებული ინსტიტუციური მოწყობის მოდელი და მეცნიერების მარეგულირებელი საკანონმდებლო ჩარჩო სრულად ვერ უზრუნველყოფს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისა და სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტების ეფექტურ ინტეგრაციას. ინსტიტუტების პოტენციალი არ არის საკმარისად გამოყენებული საუნივერსიტეტო განათლების პროცესში, რაც ხელს უშლის კვლევისა და სწავლების ერთიანობის პრინციპის განხორციელებას.

დაბალია მეცნიერებაში ახალგაზრდა კადრების შედინების მაჩვენებლები, რაც საფრთხეს უქმნის მეცნიერების დინამიკურ განვითარებას, ცოდნის ეფექტურ გადაცემასა და სამეცნიერო პოტენციალის მუდმივ განვითარებას.

ქვეყანაში არ არსებობს მეცნიერების სფეროში შეთანხმებული პრიორიტეტები და განვითარების ერთიანი პოლიტიკა, რომელიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რესურსების ეფექტური განაწილებისათვის[13].

ამავდროულად არ მოქმედებს სამეცნიერო პროდუქციის შეფასების ერთიანი ეროვნული სისტემა, რომელიც ეფუძნება თვლად ბიბლიომეტრიულ ინდიკატორებს და ადგილობრივ და საერთაშორისო კოლეგიალურ შეფასებას.

მეცნიერების დაფინანსების არსებული მოდელი ვერ ქმნის გრძელვადიანი კვლევითი პრიორიტეტების განხორციელების, წარმატების კლასტერების გაძლიერებისა და მუდმივი ინსტიტუციური განვითარების შესაძლებლობებს.

2014 წლიდან განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ დაიწყო ნაბიჯების გადადგმა მეცნიერების სფეროში არსებული მდგომარეობის შესწავლის მიმართულებით.

კერძოდ, საერთაშორისო პარტნიორებთან თანამშრომლობით პირველად განხორციელდა საქართველოს სამეცნიერო პროდუქციის ბიბლიომეტრიული და თვისებრივი ანალიზი ე.წ. წარმატების კლასტერების გამოვლენის, საქართველოს სამეცნიერო პროდუქციის საერთაშორისო ბაზებში არსებობის ტენდენციების გამოსავლენად.

[11]Medjan, K. and Bregvadze, T. (2013) Research performance in Georgia, MoES

[12]Chobanyan L., Makhviladze N., Shatberashvili O., Tsotskolauri P. (2010). The unification of bibliometric indices to assess the level of scientific productivity at the micro- and mezzo- levels , Georgian Federation for Information and Documentation

[13]KhlevovitsD. Saluveer M. (2007), Georgian Report and Development Policy Assessment, EU Funded Project.

ასევე, საქართველოში და უცხოეთში მოღვაწე მეცნიერების დახმარებით განხორციელდა კვლევითი ინსტიტუტების მიმდინარე საქმიანობისა და სამომავლო გეგმების კოლეგიალური შეფასება.

სტრატეგიული ამოცანები და ძირითადი ინტერვენციები

მეცნიერების განვითარების მიმართულებით მნიშნელოვანია გაგრძელდეს მუშაობა მეცნიერების მართვის შედეგზე დაფუძნებული მოდელის ფორმირების მიმართულებით და განხორციელდეს ინტერვენციები შემდეგი ამოცანების მიხედვით:

- **მეცნიერების ხარისხის მართვისა და დაფინანსების მოდელის სრულყოფა**

ამ ამოცანის ფარგლებში განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მოკლევადიან გეგმაში შედის მეცნიერების აუდიტის ერთიანი სისტემის შექმნა, რაც გულისხმობს: მეცნიერების სფეროში პრიორიტეტების დასახვის მექანიზმის ამოქმედებას; სამეცნიერო პროდუქციის შეფასების პროცესში კოლეგიალური შეფასების (ადგილობრივი და საერთაშორისო) კომპონენტის გაძლიერებას; მეცნიერების მიმართულებით ბიბლიომეტრიული ანალიზის სისტემის ამოქმედებას 2015 წლისათვის.

მეცნიერების აუდიტის სისტემური პროცესის შედეგებზე დაყრდნობით უნდა მოხდეს კვლევითი საქმიანობის დაფინანსების დამატებითი ნაკადის ფორმირება გრძელვადიანი სახელმწიფო კვლევითი პრიორიტეტების მხარდაჭერისა და წარმატების კლასტერების ფორმირებისათვის.

2015 წლის მეორე ნახევრიდან უნდა ამოქმედდეს მეცნიერების პოპულარიზაციის მრავალწლიანი პროგრამა, რომელიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა კადრების მოზიდვას მეცნიერების სფეროში.

სამინისტრო გააგრძელებს და ეტაპობრივად გაზრდის სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების ინსტიტუციურ დაფინანსებას მუდმივი განვითარების გარანტიების შექმნისა და ცალკეული მიმართულებების სტაბილური განვითარების ხელშეწყობისათვის.

2015 წლისათვის სამინისტრო ასევე გაატარებს გარკვეულ საკანონმდებლო ცვლილებებს საჯარო სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებებში ფინანსური მართვის მექანიზმების დახვეწისათვის.

კვლევით დაწესებულებებში კვლევითი პერსონალის განვითარების პოლიტიკის სტიმულირების მიზნით სტრატეგია ასევე გულისხმობს კვლევით საქმიანობაში ახალგაზრდა მკვლევარების ჩართვის ხელშეწყობის ღონისძიებების გატარებას და 2016 წლისთვის სადოქტორო საფეხურის შემდგომი განვითარების სისტემის (Postdoc) დანერგვას.

- **კვლევით საქმიანობაში საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერება**

ამ ამოცანის ფარგლებში სამინისტრო ხელს შეუწყობს კვლევითი პროდუქტის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის ინტერნაციონალიზაციას, გამოყოფს შესაბამის რესურსებს მკვლევართა მობილობის ხელშეწყობისათვის, ისევე როგორც მხარს დაუჭერს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების პროცესის ფარგლებში შესაბამის ინსტრუმენტებსა და პროგრამებში საქართველოს მონაწილეობის გაზრდას.

2015 წელს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დავალებით შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი შეიმუშავებს კვლევითი საქმიანობის ინტერნაციონალიზაციის სამოქმედო გეგმას სამეცნიერო წრეებთან კონსულტირებით. სამეცნიერო ფონდი 2016 წელს დაიწყებს შემუშავებული გეგმის იმპლემენტაციასა და გრძელვადიანი საგრანტო სისტემით იმ მიმართულებების სამეცნიერო აქტივობების დაფინანსებას, რომლებიც განისაზღვრება სახელმწიფო პრიორიტეტად. საქართველოში მოქმედ მეცნიერს ან მეცნიერთა ჯგუფს (პრიორიტეტი მიენიჭება ჯგუფს) ეყოლება პარტნიორი უცხოეთის აღიარებულ უნივერსიტეტში/სამეცნიერო ცენტრში და განახორციელებს ერთობლივ კვლევებს. იგულისხმება ახალგზარდა მეცნიერთა ჩართულობა მთელი პროექტის განმავლობაში.

2015 წელს საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებით და საბჭოური მემკვიდრეობის მქონე, ევროკავშირის ამჟამინდელი წევრი ქვეყნების ეროვნულ სამეცნიერო ფონდებთან მჭიდრო თანამშროლობით უნდა შემუშავდეს მეცნიერების მენეჯმენტის სიტემა, რომელიც ხელს შეუწყობს გაზომვად კრიტერიუმებზე დაყრდნობით არსებული რესურსების მიმდინარე განვითარების პოლიტიკისა და მიღწეული შედეგების ეფექტიანობის შეფასებას სამეცნიერო პოტენციალის პროგრესის ჩვენებით. დაგეგმილია ესტონეთის მიერ გატარებული რეფორმების ადაპტირება საქართველოში ერთიანი ეროვნული სამეცნიერო პორტალის შექმნით.

- **კვლევითი პროდუქტის კომერციალიზაციის ხელშეწყობა**

სხვა სამინისტროებთან თანამშრომლობით განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო გაატარებს გამოყენებითი კვლევების მხარდაჭერის პოლიტიკას და იმუშავებს კვლევითი პროდუქციის კომერციალიზაციისა და ინოვაციების ხელშეწყობის ეროვნული სისტემის ამოქმედების მიმართულებით.

7. შემდეგი ეტაპები ძირითადი მიმართულებების დოკუმენტის განვითარებისათვის

დოკუმენტის საბოლოო ვერსიის შემუშავებისათვის მნიშვნელოვანია საზოგადოების ფართო წრეებთან მისი განხილვა და სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვა. საზოგადოებრივი დისკუსიის ეტაპის დასრულების შემდეგ წინამდებარე დოკუმენტზე დაფუძნებით მომზადდება განათლებისა და მეცნიერების განვითარების გრძელვადიანი სტრატეგია, ფინანსური და სამოქმედო გეგმა – განისაზღვრება ცვლილებების გატარების კონკრეტული ვადები და პასუხისმგებლობები, შემუშავდება სტრატეგიის განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, დაზუსტდება მოსალოდნელი შედეგები, ინდიკატორები და მათი გადამოწმების წყაროები.

გრძელვადიანი სტრატეგიის არსებობა უზრუნველყოფს: შესაბამისი ფინანსური რესურსების სწორ მობილიზებას; სხვა დარგობრივ სამინისტროებსა და სტრუქტურებთან ეფექტურ კოორდინაციასა და განათლებისა და მეცნიერების სფეროში თანამიმდევრული, შედეგზე ორიენტირებული პოლიტიკის გატარებას განათლების ხარისხის ამაღლებისათვის.

8. გამოყენებული კვლევები და დოკუმენტები

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM). (2005-2008). "განათლების რეფორმის ეფექტურობის გაზრდა საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში თვითმმართველობის მექანიზმების დამკვიდრების გზით".

სასკოლო განათლება, არსებული ვითარების აღწერა და ანალიზი (2013). განათლების პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

სასკოლო განათლების კონცეფცია (2013). განათლების პოლიტიკისა და კვლევების ასოციაცია, ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM). (2007-2008). დევნილთა ინტეგრაცია განათლების სფეროში.

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM). (2008). სკოლების მართვის დეცენტრალიზაციის ხარისხის კვლევა.

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM). (2011). კერძო რეპეტიტორობის ფენომენის შესწავლა საქართველოში.

განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM). 2009-2010. კერძო რეპეტიტორობის ფენომენი (ფაზა 2).

განათლების პოლიტიკისა და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM). (2012). პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კვლევა ინკლუზიური განათლების განვითარების შესახებ.

განათლების სფეროში მშობელთა არაფორმალური გადასახადების კვლევა. (2007-2009). განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM).

ევროკავშირის სექტორული პოლიტიკის მხარდაჭერის პროგრამა: საქართველოს პროფესიული განათლების სექტორის მხარდაჭერა; დასკვნითი ანგარიში (2013);

ევროპის განათლების ფონდი (2012). პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2009 – 2012); ანგარიში ძირითადი მიღწევებისა და არსებული გამოწვევების შესახებ. ევროპის განათლების ფონდი

ევროპის განათლების ფონდი (2013). სოციალური პარტნიორობის პრობლემები და გამოწვევები საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში. ევროპის განათლების ფონდი

ინკლუზიური განათლების პროექტი. (2005-2008). ეროვნული სასწავლო გეგმებისა და შეფასების ცენტრი. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. განათლების პოლიტიკის, დაგეგმვის და მართვის საერთაშორისო ინსტიტუტი (EPPM).

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ განხორციელებული საქმიანობის შესახებ მასწავლებელთა ინფორმირებულობა და განწყობა-დამოკიდებულები. (2009). TPDC, EPPM.

მსოფლიო ბანკი. სოციალური კვლევების და ანალიზის ინსტიტუტი. (2003). მასწავლებელთა და მოსწავლეთა ღირებულებითი ორიენტაციის შესწავლა.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2013). „საქართველოსეროვნულისასწავლოგეგმისადასხვაქვეყნებისსასწავლოგეგმებისშედარებითიანალიზი". სამიზნე ქვეყნები: ფინეთი, ინგლისი, ავსტრალია, აშშ (მასაჩუსეტსის შტატი), ჩეხეთი, სინგაპური, ესტონეთი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (2013).დაფინანსების არსებული პრაქტიკა და შემოთავაზებული ცვლილებები საქართველოს პროფესიული განათლების სფეროში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, UNICEF, (2013). წყლის, სანიტარიული და ჰიგიენური პირობების კვლევა საჯარო სკოლებში.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2008). მასწავლებლებზე არსებული და მომავალში მოსალოდნელი მოთხოვნის განსაზღვრა საქართველოს საჯარო/კერძო სკოლებში. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, სოციალური კვლევების და ანალიზის ინსტიტუტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2012). მასწავლებელთა არსებულ და საჭირო რაოდენობებს შორის ბალანსის კვლევა (მონაცემთა ბაზების სტატისტიკური ანალიზი). TPDC, სოციალური კვლევების და ანალიზის ინსტიტუტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2012). მასწავლებელთა არსებული ნაკადის კვლევა: საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მასწავლებელთა გამოკითხვის შედეგები. TPDC. სოციალური კვლევების და ანალიზის ინსტიტუტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2012). მასწავლებელთა მოსალოდნელი ნაკადის კვლევა: საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვის შედეგები. TPDC, სოციალური კვლევების და ანალიზის ინსტიტუტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2012). პროფესიული განვითარების სქემისადმი მასწავლებლების დამოკიდებულების კვლევა. TPDC. სოციალური კვლევების და ანალიზის ინსტიტუტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2012). პროფესიული კონსულტირების სერვისის ეფექტიანობა (სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების სტუდენტთა გამოკითხვის შედეგები). პროფესიული სასწავლებლების პედაგოგების საჭიროებათა კვლევა. TPDC

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2012). საბაზისო პედაგოგიური უნარების ტრენინგი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლებისათვის. TPDC

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2012). ხუთი წლის ასაკის მოსწავლეების სწავლების პრობლემების კვლევა. TPDC, სოციალური კვლევების და ანალიზის ინსტიტუტი.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2013). მასწავლებელთა სერტიფიცირების პროცესთან დაკავშირებული პრობლემების ანალიზი. (2013). MoES.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. (2013). მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება: მოსაზრებები მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისთვის. MoES, USAID.

საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური (2013). პროფესიული განათლების ეფექტიანობის აუდიტის ანგარიში

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო. საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია (2013-2020)

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო; ათასწლეულის გამოწვევის ფონდი, საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში კერძო სექტორის ჩართულობის სტრატეგია. (2013).

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში , დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების სტრატეგია საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში, 2013.

პროფესიული განათლების სექტორის სიტუაციური ანალიზი. ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში. (2013),

Andguladze, N., Salmi, J. (2012). Tertiary Education Governance & Financingin Georgia. World Bank commissioned

Bregvadze, T, Medjad, K (2014). Research Performance in Georgia: Analysis and recommendations. MoES. USAID

Crisan, A. (2012). Education Policy Note on Teacher Quality in Georgia. The World Bank commissioned

School Principal Recruitment and Evaluation, Georgia, Background Report, 2014, NAEC

World Bank 2014, Education Chapter in Public Expenditure Review

European Training Foundation (ETF) (2012). Strategy for reform of vocational education and training / Report on main outputs and outstanding challenges.

Fret well, D. (2012). Labor Market Demand and Supply in Georgia - Planning Human Resource Development Investments. The World Bank and MCC commissioned

Godfrey, M.(2007). Georgia Education Policy Note. World Bank commissioned

International Institute for Education Policy Planning and Management (EPPM) (2014). Strategic development of Education and Science in Georgia.

International Institute for Education Policy Planning and Management (EPPM) (2013).Return to Higher Education.

National Tempus Office Georgia. (2012). Doctoral Programs in Georgia.

National Tempus Office Georgia. (2010). Students involvement in Higher Education Institutions' Management.

National Tempus Office Georgia. (2010). the best and the worst practices of Quality Enhancement – Case of Georgia.

National Tempus Office Georgia. (2011). Georgian Universities Support to Student's Employability.

PADECO (2012). განათლების რეფორმის შეფასების კვლევა

Research of HED Service in Georgia. (2011). The Gallup/commissioned by the Ministry of Education and Science of Georgia

RGC Consulting (2011). სტუდენტთა კმაყოფილების კვლევა

Rutkowski, J. (2013). Workforce Skills in the Eyes of Employers/Results of the Georgia STEP Employer Skills Survey.The World Bank

Technopolis (2010). Study on the organisation of doctoral programmes in EU neighboring countries - Practices, developments and regional trends- Georgia.

The Government of Georgia (2011).Georgia Constraints Analysis.

The Government of Georgia (2014).Governments Socio-Economic Development Strategy.

The International Institute for Education Policy Planning and Management (EPPM)(2011).Education Access & Equity in the South Caucasus Region.

Teacher Certification in Georgia, Background Report 2014, NAEC/World Bank

The World Bank (2014).Brief Policy Note.

The World Bank (2013).A review of teacher policies in Georgia and their implications for teacher quality.

The World Bank (2013). Draft Public Expenditure Review.

The World Bank (2013). Draft Skills Development Note/Literature Review.

The World Bank (2013).Georgia Workforce Development (SABER Country Report).

The World Bank (2013). Skills Mismatch & Unemployment/Labor Market Challenges in Georgia.

The World Bank (2008). Implementation Completion & Results Report (ICR).

The World Bank (2008). Poverty Assessment.

The Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ). (2010) პროფესიული განათლებისა და ტრენინგის ფინანსირების მოდელი, რომელიც პარტნიორების ჩართულობას ეფუძნება.

The Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ). (2010). პროფესიული განათლების შესაბამისობა დასაქმების ბაზრის მოთხოვნასთან.

The Deutsche Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ). (2010). საქართველოში პროფესიული განათლების ხარჯები: 15 პროფესიული სასწავლებლის ანალიზის ანგარიში.

UNICEF (2012).The Well-Being of Children & their Families in Georgia (Welfare Monitoring Survey second stage).

UNICEF (2012).საქართველო: ბავშვთა სიღარიბის შემცირება.

UNICEF/ISET (2012).Comprehensive Costing and Finance Strategies for the Early Learning System in Georgia.

United Nations Development Program (UNDP). 2011. მასწავლებელთა და ტრენერთა შესაძლებლობებში არსებული ხარვეზების შეფასება საქართველოს პროფესიული განათლების სექტორში

USAID (2014). Georgian ICT Education Providers Survey.

USAID (2013). Assessment of the education sector in Georgia.